საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ყოველთვიური ჟურნალი

ISSN 0132-1307

180
1983

საჯოთა ხელოვნება

9
1983

(404)

1983.V.

IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, მიძღვნილი ქართული ხელოვნებისადმი. თბილისი.

Международный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси.

Symposium international sur l'art georgien. Tbilissi.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა
ხელოვნება

№ 9. 1983 წ.

ვლადიმერ იაკაშვილი

ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი წლების ქრონიკა

ორმოქმედებიანი ისტორიული დრამა მოზარდთათვის

მოქმედი პირნი

ერეკლე მეორე — ქართლ-კახეთის მეფე
დარეჯანი — ქართლ-კახეთის დედოფალი
გიორგი — ბატონიშვილი, შემდგომ მეფე ქართლ-კახეთისა — გიორგი XII
მარიამი — გიორგი მეთორმეტის მეუღლე — დედოფალი
სოლომონ ლიონიძე — ვიცე კანცლერი ერეკლე მეორის კარზე
გარსევან ჭავჭავაძე — ქართლ-კახეთის მეფის დესპანი რუსეთის იმპერატორის კარზე, გამოჩენილი ქართველი დიპლომატი
ანტონ პირველი — კათალიკოსი
დავით ყაფლანიშვილი
ზაქარია ანდრონიკაშვილი
იოანე მუხრან-ბატონი
ჭაბუა ორბელიანი

ქართლ-კახეთის სამეფოს დარბაზის წევრნი ერეკლე მეორის დროს

დოსითეოს ქუთათელი
ევთიმე გენათელი
ქაიხოსრო წერეთელი
ზურაბ წერეთელი
იმერეთის დესპანნი

კოვალენსკი — რუსეთის იმპერატორის მინისტრი ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე
ლაზარევი — გენერალ-მაიორი, ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის სარდალი
იოანე ორბელიანი — სარდალი გიორგი მეფისა
თეოდორე ტამბოველი — ორდინარეცი გიორგი მეფისა
ირანის ელჩი
ნიკოლოზ ხიმშიაშვილი — მარიამ დედოფლის კულუხჩი
მსახურნი, კარისკაცნი, მომჩივარნი

მოქმედება პირველი

შესავალი

სურათი — დროსა და ადგილის მიღმა. სპექტაკლის პირველი განყოფილების ყველა მონაწილე სცენაზეა. ისინი იმ ასაკში არიან, რომელშიც სიკვდილმა უწიათ. სცენის ცალ მხარეს დგანან, როგორც დგანან ხოლმე მსახიობები კულისებში, სცენაზე გამოსვლის მოლოდინში. ცალკეული სცენების გასათამაშებელი მოედანი ოდნავ შემაღლებულია და იმისდა მიხედვით ეწყობა, თუ რა სცენა თამაშდება ამა თუ იმ მომენტში.

ერეკლე მეორე, დარეჯან დედოფალი, სოლომონ ლიონიძე, გიორგი მეთორმეტე და გარსევან ჭავჭავაძე მსახიობთა საერთო გუნდს გამოეყოფიან და ავანსცენაზე გამოდიან.

ერეკლე — გაღასულ დღეთა მწვერვალიდან სხვა-გვარად ჩანს ცხოვრება ჩვენი და ღვაწლიც ჩვენი.

ლიონიძე. მუდამ სათაყვანებელი ღმერთი იყავ ჩემი, მეფეო, მაგრამ მთელმა საუკუნემაც ვერ შეეგუა ჩვენ ერთსა ბილიკზე.

ერეკლე. საუკუნეო ამბობ შენ!.. განა რა დროა ახლა?

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით პიესა წამახალისებელი პრემიით აღინიშნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ ი ო ნ ი ძ ე. ათას რვაას ოთხმოცდასამი გახლავთ, მეფევ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. ას წელიწადში რამ დაუბნელა გონება შენ ერს, ირაკლი, რომ სათაყვანებელი დედოფალი მათი ალქაჯად მონათლეს.

ე რ ე კ ლ ე. გადასულ დღეთა ადამიანები დღევანდელი თაობის სამსჯავროს წინაშე ვდგავართ და ვალდებულნი ვართ გულმართალნი ვიყოთ, დედოფალო.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. ნუთუ, მეფეო, იმის თქმა გინდა, რომ რუსეთის იმპერატორის პენსიებით დაპურებული ეს თავადობა ის მსაჯულია, რომელსაც შეუცდომლად ძალუძს ჩვენ-ჩვენი მოგვიზღას და მას განმკითხავი არ ეყოლება?

ე რ ე კ ლ ე. დრო უსაზღვროა, დედოფალო, და ჩვენი ნამოქმედარის განსჯაც ამ უსასრულობაში თანაბარი რომ არ იყოს, ნურც ეგ გაგაკვირვებს.

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ვხედავ ერთიან საქართველოს შავი ზღვიდან ვიდრე აღსტაფამდე და ვარძიიდან ვიდრე კავკასიონამდე.. .ვხედავ აბალციხის რაბათის თავზე ნაცვლად ნახევარმთვარისა ჯვარს მაცხოვრისას და ვამაყობ ამით, რამეთუ ჩვენი დაუცხრომელი ზრუნვის შედეგია ეს...

ე რ ე კ ლ ე. ჩვენ, მბრძანებელნი, სიცოცხლეში ქვეშევრდომთა მსაჯულნი ვართ, ხოლო სიცოცხლის შემდგომ ქვეშევრდომნი ვადიქცევიან ჩვენს მსაჯულებად... შთამომავლობა საფუძვლიანად ჩხრიკავს წინაპართა ნამოქმედარს და მიუზღავს ყველას სამართლიანად.

ლ ი ო ნ ი ძ ე. ყოყმანობ თითქოს, მეფევ, თითქოს ორჭოფობ და ნანობ... შენ არ იცოდი არცა ყოყმანი, არც ორჭოფობა, არც ვიშვიში გადაწყვეტილზე... ნუთუ შეცვალეს აზრი შენი განვლილმა წლებმა?!

ე რ ე კ ლ ე. ასი წელი... დრო უსასრულო... ფასეულობათა გადაფასების მსაჯული ულმობელი...

ლ ი ო ნ ი ძ ე. ბევრის შემცველია ეს ასი წელი. თითო გადადგმული ნაბიჯი ჩვენი, ვითარცა კენჭი ნასროლი მთის მწვერვალიდან, ზვავად ქცეულა და წაულეკავს გზად ყოველი.

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ზოგს წაულეკავს, ზოგსაც ამოუვსია ხრამი — ნაპრალი და სავალად უქცევია უვალი გზა.

ე რ ე კ ლ ე. ისტორიის საჭვრეტელიდან ადვილია კარგისა და მცდარის გარჩევა.

გ ი ო რ გ ი. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე ეამოჩნდებაო, ამის თქმა გსურს ალბათ, მამავ-ბატონი.

ე რ ე კ ლ ე. სხვა გზას ვერ ვხედავ ახლაც, თუმცა ბევრი რამ მოხდა ისეთი, რასაც არ ველოდი...

გ ი ო რ გ ი. თვალწინ მიდგას, გაწბილებით გასტუმრებული იმერთა დესპანნი და გული გახეთქვას ლამობს.

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ისტორიამ ბევრი გზაჯვარედინი იცის, ყველა დაღუპვისკენ რომ მიემართება... უკან დახევა სჯობს ზოგჯერ.

გ ი ო რ გ ი. ოსმალეთს ომი ჰქონდა რუსეთთან.

ე რ ე კ ლ ე. საქართველო ზურგია რუსეთის, ხოლო ჩვენსა და რუსეთს შორის ოსმალეთთან მჭიდროდ შეკრული, მაჰმადიანური მთიანეთი იდო ჯაჭვივით გაწელილი... (პაუზა). გული გახეთქვას ლამობსო, ამბობ შენ, გიორგი... ჩემი გული გასკდა მაშინ, იმ ნისლიან დღეს და არა მერე, რვა წლის შემდეგ, როცა სამუდამოდ დავხუჭე თვალი...

ლ ი ო ნ ი ძ ე. ნისლიანი დღე იყო სწორედ.

სურათი პირველი

შემაღლებულ მოედანზე, სადაც ცალკეული სცენები გათამაშდება, ერეკლე მეორის საკრებულო დარბაზი ეწყობა.

მეფე ერეკლე, კათალიკოსი ანტონი, სოლომონ ლიონიძე, იოანე მუხრან-ბატონი, ზაქარია ანდრონიკაშვილი, დავით ყაფლანიშვილი, მომჩივარი გლეხი და სხვანი, საერთო გუნდს გამოეყოფიან, შემაღლებულ სცენაზე გავლენ და თავთავიანთ ადგილებს იკავებენ.

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი. მეფევ ირაკლი, ჩვენო ბფარველო და მოამაგევ. მივეც ბატონსა ჩემსა ლუარსაბს, ნასყიდობის წიგნი და სიგელი, რამეთუ მივყიდე ჩემი შვილი. ავიღევი ფასი სრული დაუკლებარი, ვუთხარ — ბატონსა — გეყვანდეს და გიბედნიეროს ღმერთმან.

ე რ ე კ ლ ე. საკუთარი შვილი როგორ გაჰყიდე, შე უღმერთოვ?

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი. შიმშილისაგან ილაჯი აღარ მქონდა, მეფევ.

ე რ ე კ ლ ე. მომწყდი თავიდან, ეშმაკის კერძი ყოფილხარ, და არა კაცი!

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი. შენ არ იცი, მეფევ, შიმშილი, უილაჯობა...

ე რ ე კ ლ ე. წადი, მომცილდი!

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი. მცირე ჟამს შემდგომ გაეცა შვილი ჩემი პატრონსა მისსა ლუარსაბს...

ე რ ე კ ლ ე. კარგი უქნია!

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი. გადაიხვეწა ახალციხს. ბატონი ჩემი ლუარსაბ მიბრძანებს ფასის დაბრუნებასა, სრულად დაუკლებრად.

ე რ ე კ ლ ე. მომაცილეთ წყეული ესე მგმობელი ღვთისა და კაცისა!.. არ ვარ მსაჯული მშობლისა, ვინაც ჰყიდის შვილსა საკუთარს ლუკმა პურისათვის!

მ ო მ ჩ ი ვ ა რ ი. შენ არ იცი, მეფევ, სიმწარე უილაჯობის... კვნესა და შიმშილით ჩივილი შვილთა მცირეთა, ჩვილთა და ძუძუთა...

ე რ ე კ ლ ე. მომაცილეთ, ქეშიკნო, იუდას კერძი ეს... არ მსურს ვისუნთქო სიმყრალე ცოცხლისა მძორისა!

ქეშიკნი გაიყვანენ მომჩივარს.

ლ ი ო ნ ი ძ ე. ძნელია, მეფევ, ხვედრი უსახსროთა და გაჭირვებულთა... ძნელია ჩახვდე ფიქრსა მათსა და უსაქციელთა საქმესა მათთა.

ე რ ე კ ლ ე. კაცი უნდა დარჩეს კაცად მუდამ, და არა ეცთუნებინოს ეშმაკს.

ა ნ ტ ო ნ ი. მართალს ბრძანებ, მეფევ. ოღონდ მაცთუნებელ ეშმაკეულისაგან მოცილება კაცისა, ვალია ყველა ჩვენთაგანისა.

ლ ი ო ნ ი ძ ე. უკიდურესია მდგომარეობა ქართლისა, მეფევ, დაღესტნელთა მარბიელი რაზმები აწიოკებენ და აჩანაგებენ ისედაც გაღატაკებულ სოფლებს. ატყვევებენ მოზარდებს და სტამბოლის ბაზარზე გასასყიდად ერეკებიან.

დ ა ვ ი თ ი. განა ჩვენ გულხელდაკრეფილნი ვსხედვართ და არ დავდევთ ფეხდაფეხ ჩვენის რაზმებითა უაჩაღთა ბრბოს? თუ ცოტა გვიულეტია და თავბედი გვიწყევლინებია წყალეულთათვის!

ზ ა ქ ა რ ი ა. წყეულიმც იყოს მოღალატე ქვეყნისა — სოლომონ ჯაყელი.

ე რ ე კ ლ ე. სულეიმან ფაშასთან სიტყვით ვარ შეკრული, პირობაც დადო, არ შევიფარებო დაღისტნიდან გადმოსულ მარბიელ ლაშქარსა, მაგრამ განა სჯულის გამყიდველის სიტყვას დაეჯერება რამ!

ლ ი ო ნ ი ძ ე. მეფევ, აუტანელი გახდა გლეხკაცის ცხოვრება ქართლში, ცალკე მებატონეთა ძალადობა, ცალკე ლეკიანობის შიში და იმის გარდა, რაც ტყვედქმნილი ქართველობა გაჰყავთ ქვეყნიდან, თავადაც გარბის გლეხკაცი, ზოგი მოზდოკს, ზოგი თავისითვე ბარდება ახალციხის ფაშას.

ა ნ ტ ო ნ ი. ხალხს სიტყვა უნდა, სიტყვა ღვთისა განმანათლებელი, შემაგნებელი სჯულის სიკეთისა, მამა-პაპათა ადგილის, ქვეყნის და ერის სიყვარულისა... ვინ თქვას სიტყვა ესე?

ე რ ე კ ლ ე. ეკლესიამ, წმინდაო ანტონ, სახლმა ღვთისამ...

ა ნ ტ ო ნ ი. ეკლესიას ჩვენსას ბევრგან დაპატრონებიან უღირსნი, მეფევ, ზნეობით დაცემულნი და მანკიერნი მსახურნი, უგვანონი...

ე რ ე კ ლ ე. კონსტანტინეპოლში მიდის ფესვი ჩვენი მტრობისა. ხონთქარი ჯერედ ყუჩობს, ყამს არჩევს და წვრილ მარბიელთ გვისევს, ოღონდ ფიქრი მისი ესაა — რუსეთს ჩამოგვაშოროს და დაგვიმორჩილოს.

ა ნ ტ ო ნ ი. დამორჩილება დაკარგვაა სჯულისა, სჯულის დაკარგვა — სიკვდილი გარდუვალი...

ე რ ე კ ლ ე. პავლე პოტიომკინს შემოუთვლია ბურნაშოვისთვის გადმოსაცემად ჩემდა, რამეთუ შენსა მიწაზე რუსეთის ჯარის ყოფნამ აგიმხედრა მეზობლები. სანამ ომი აქვს რუსეთს თურქეთთან და არ შესწევს ძალა რუსეთის ხელმწიფეს დაგეხმაროს შენა, სჯობს ამა მეზობელთა დასამშვიდებლად, გავიდეს ქართლ-კახეთის მიწიდან ჯარი რუსთა, ხოლო მირჩევს მე. მშვიდობა დავამყარო დროებითი ახალციხის ფაშასთან. (ერთხანს სდუმს. მცირე პაუზის შემდეგ) უილაჯობა... კვნესა და შიმშილით ჩივილი ჩვილთა მცირეთა, ჩვილთა და ძუძუთა... ღმერთო, შენ გვიხსენ ცოდვათაგან... ღმერთო, შეგვინდე ცოდვანი ჩვენნი!..

ა ნ ტ ო ნ ი. თურქეთთან ომი სარდლობამ რუსეთისამ ამჯობინა ბალკანეთისა მხრიდან, საქართველოში მცირედი ჯარით შემოსვლა გაძნელდა, ბევრის გადმოყვანა კი არტილერიითა და მრავალითა აღალითა ჭირს მცირედი რაზმი რუსთა და ქართველთა ვერას იქმს ოსმალთა მრავლისა ძალის პირისპირ...

ე რ ე კ ლ ე. ჭეშმარიტს ბრძანებს კათალიკოსი ანტონ. გვმართებს ფრთხილობა პორტისა მიმართ, სჯობს ღავიზავოთ ფაშაც ახალციხისა — სულეიმან. სულთნის დიდსა ვაზირსა ვაახლოთ დესპანნი ჩვენნი ძღვენით და სიტყვითა ტკბილით.

ლ ი ო ნ ი ძ ე. მეფევ, იმერეთიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა. დიდებულთა იმერეთისა, მთავართა გურიისა და ოდიშისა სურთ გაახლონ დესპანნი და გთხოვონ მიიღო გვირგვინი იმერეთისა სამეფოსი. მოაქციოთ ერთისა სკიპტრისა ქვეშე სრულად საქართველო, ვითარცა იყო ჟამსა მეფობისა დიდისა თამარისა უბრწყინვალესისა.

ე რ ე კ ლ ე. მსმენია ჰაზრი ესე საკრებულოსი იმერეთისა და დიდადაც განვიხარე... ღმერთო დიდებულო, ნუთუ ეღირსება კვლავაც ერთიანობა ქვეყანასა ჩვენსას, საფუძველი სიძლიერისა და სიმტკიცისა.

ლ ი ო ნ ი ძ ე. დგება ეგე სანატრელი ჟამი, დიდო მეფეო, ლიხთ იმერთა ქართველთა, გურიისა, მეგრელიისა და აფხაზთა მთავართა შეიგნეს ძალა ერისა ერთობისა, სძლიეს სწრაფვა გულისა დამღუპველი ცალკეულად თითოეულისა და ყველასი ერთად...

ე რ ე კ ლ ე. როდის ველით დესპანთ?

ლ ი ო ნ ი ძ ე. დღე დღეზე, მეფეო.

ე რ ე კ ლ ე. დღე იგი იქნება, ჩვენისა ქვეყნისა ჟამთაღწერაში უნეტარესი და უმნიშვნელოვანესი, მეტი, ვინემ დღე ბრძოლისა დიდგორისა საწყისისა აყვავებისა სრულიად საქართველოისი... უბრძანე მოწვევა დარბაზისა. დაე გაიხარონ დიდებულთ ქართლ-კახეთისამ და ერმა მთელმა საქართველოსამ.

ი ო ა ნ ე. (ფრთხილად. შეპარვით) დედოფალი დარეჯან ნატრობდა იმერეთისა ტახტზე შვილიშვილსა შენსა დავით...

ე რ ე კ ლ ე. იყუჩე. მუხრანთბატონო, არ არის ჟამი ფიქრისა საკუთარ შვილებზე და შვილიშვილებზე. ღმერთი ქვეყანას ჩვენსას ჰპირდება ხსნას უკუნისი — უკუნისამდე, და ჟამსა ამისა სირცხვილია სხვა რაჲ ფიქრი, თუ არა ქვეყნისა ბედზე.

შემოდის მალემსრბოლი. შეშფოთებული ხმით იგი უშუალოდ მეფეს მიმართავს:

მ ა ლ ე მ ს რ ბ ო ლ ი. მეფევ, ლეკთა მარბიელი დიდი ლაშქარი ზედაზნის მხრიდან დაეცა ქვედა სოფლებს, დაარბიეს სოფლები იგი, გაირეკეს დიდძალი ტყვე და საქონელი ახალციხისაკენ.

ე რ ე კ ლ ე. სარდარო დავით, მყისვე შეჰყარე მადევარი რაზმი, თავად ვუბელადებ ჯარსა! ჩქარა ცხენი ჩემი და თოფი ჩემი! თავადნო! ამხედრდით მტრისა სადევნად!

სწრაფად წამოდგება ფეხზე. წამოცვივდებიან სხვებიც. აჩქარებით სტოვებენ დარბაზს.

სურათი მეორე

ერეკლე მეორის სასახლე თბილისში. სამეფო პალატა. დარბაზის სხდომა. ესწრებიან: ერეკლე მეორე, კათალიკოსი, სარდალი დავით ყაფლანიშვილი, სოლომონ ლიონიძე, მოურავი ქიზიყისა ზაქარია ანდრონიკაშვილი, ჰაბეა ორბელიანი, იოანე მუხრან ბატონი. დესპანნი იმერეთისა —ევთიმე გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი და სხვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე ნ ა თ ე ლ ი. მეფევ ირაკლი, მამავ და მფარველო ყოვლისა საქართველოსი, არ ინებე შენ იმერეთის მეფედ დავითი გიორგის ძე მიმტაცებელი ტახტისა. ესე ჰაზრი შენი, მოიწონეს დიდებულთა იმერეთისა, მთავართა — გურიისა და ოდიშისა. გვქონდა ბჭობა ყველასა ერთად და ცალკეულად და მოველნით ჩვენ აქ ვითარცა დესპანნი, მთხოვნელნი, ერთითა ჰაზრითა და სურვილითა ერთითა, რათა, შენ, მეფევ ქართლისა და კახეთისა და სხვათა, მეფევ ირაკლი, იდო შენსა თავსა ტვირთად პატრონობაი იმერეთისა, გურიისა, ოდიშისა და ყოველთა ლიხთიქითა საქართველოისა... შეიერთე აგი ქვეყანა, მეფევ, ერთსა სკიპტრასა ქვეშე, ვითარც იყო ერთ მთავრობისა დროთა... ყამსა დავითისა აღმაშენებლისა და თამარისა უბრწყინვალესისა, მეფეთა სრულად საქართველოისი.

მეფევ ირაკლი, ჩვენ, დესპანნი, გეჯებით და გთხოვთ ამას. იქ ხალხი ყოვლადი სამეფოსი იმერეთისა მოელის სიხარულით და მხიარულებით საქმისა ამის დასასრულს. თვით მთავართა გურიისა და ოდიშისა სურთ და ეწყურიანთ ესე. მცხოვრებთა გლეხთაცა იციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთისა, მტერთაგან ჯვარისა გაოხრებულისა.

ქ უ თ ა თ ე ლ ი. დაიღალა, მეფევ ბატონო, იმერეთი ტახტისა მაძიებელთა ბრძოლითა. დავით გიორგის ძე ულონოა ყოვლისა სახელმწიფოს საქმეთა შინა. არ სურს არცა დიდებულთა, არცა ხალხსა იგი მეფედ. მთავრები გურიისა და ოდიშისა ეჭვობენ ურთიერთზე. მოშიხტება და მიმტრობსო. იგინიც ნატრობენ მეფეს ძლიერსა, მშვიდობისა აღმდგენელსა და კანონისა დამდგენელსა. შენ ხარ, მეფევ, დღეს ესრეთი, ვისაც შესწევს ძალა დათრგუნოს ბოროტი და ჰყოს მშვიდობა ქვეყანასა ჩვენსა.

ზ უ რ ა ბ ი. თავადთა, აზნაურთა და ფიცისკაცთა იმერეთისამ იცის ღვაწლი შენი და მეცადინეობა სახელმწიფო საქმეთა წესრიგისა და კანონის განმტკიცებისა. იცის ნიჭი შენი და ძალა შენი ომსა შინა, გელის მეფევ, ხალხი იმერეთისა სიქადულით და მხიარულებით.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. სახელი შენი, მეფევ, ვითარცა მხედართმთავრისა, ცხობილია ყოველთა დუნიაზე... თურქთ შიში აქვთ შენი... ვეღარ გაბედავენ, ვერცა ფაშა ახალციხისა, ვერცა ფაშა ტრაპიზუნისა ჰყონ ვნება ქვეყანასა ჩვენსა — წარიტაცონ ყრმანი გასასყიდად სტამბოლს.

ი ო ა ნ ე. არათუ ლიხსიქით, აქაც, ლიხსაქეთ ვერ აღვკვეცეთ თარეში მარბიელ რაზმთა. ქართლიდანაც და კახეთიდანაც წარიტაცებენ თურქნი და ლეკნი ჩვილთა და ყრმათა გასასყიდად ახალციხს, იქიდან სტამბოლს ვერას შველის ჭირსა ამასა ვერცა კურთხეული მეფე ჩვენი, ვერცა სარდალნი სახელგანთქმულნი ქართლისანი.

გ ე ნ ა თ ე ლ ი. ძალა ერთიანი არს ძლიერი და შეჰძლე ყოველთა.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. უთქვამთ წინაპართ, გასტეხ ადვილად ისრებსა ცალკეულად თითოსა, ვერ გასტეხ იმა ისრებს, ერთიანად კონად შეკრულსა.

ზ ა ქ ა რ ი ა. იყო ოდითგანვე პატრონი იმერთა ერისა და სრულად ლიხსიქით საქართველოსი ოსმალო... არ დასთმობს იგი თავისას... ასტყდება ომი და ხოცვა-ულეტა...

ზ უ რ ა ბ ი. არასოდეს ყოფილა იმერეთი მონა ვისიმე, იმერეთი ოსმალთათვის საშინელი იყო და ეწინააღმდეგებოდა... არის...

ზ ა ქ ა რ ი ა. საწყენად არ მითქვამს, სახლთუხუცესო, თურქეთი დიდია... მრავალსა ქვეყნებსა ჰფლობს, ათჯერ ძლიერსა, ვინემ იმერეთი, გინდა ქართლი და კახეთი.

ზ უ რ ა ბ ი. ყოველთვის არაფრად მიგვაჩნდა სიმრავლე მათის ჯარისა და მხნეობა ძალისა მათისა.

ზ ა ქ ა რ ი ა. კახეთში იმერულსა უხმობენ ტრაბახსა დიდსა, უსაზღვროსა.

ი ო ა ნ ე. გვჯერა ძალა და მხნეობა იმერთა, ოღონდ ციხენი მრავალნი იმერეთისანი დღესაც უპყრია ოსმალოს და ვერ მოხერხდა მათი განდევნა მამაპაპათა მიწიდან.

ზ უ რ ა ბ ი. თუ სჯობნიდნენ ოდესმე ოსმალონი იმერთა, მხოლოდ იმით, რომ მოგონილი ჰორითა და დასმენით ჩამოაგდებდნენ უთანხმოებას და შფოთს იმერთა შორის, რათა ამით განუყოფილიყო ძალი სრულად იმერთა. რომ არა ასრეთის გზითა, ვერას გვიზამდა ჩვენ იმერთ, ოსმალო.

ზ ა ქ ა რ ი ა. ვთქვი წელან — დიდად გადამეტებულსა ტრაბახზე კახეთში იტყვიან, იმერული ტრაბახიაო... ვკვირობდი მუდამ — რადა იმერული?

ი ო ა ნ ე. ახლა ხომ მიხვდი რადაც, თავადო ზაქარია?

ზ უ რ ა ბ ი. რად იცინით? ან რად არ გჯერათ სიტყვა ჩემი? რამდენჯერ გვიფრენია თურქნი მოსულნი სამტროდ? რამდენჯერ გაგვიწყვეტია მარბიელნი რაზმნი მათნი ისრედ, რომ ამბისა მიმტანი არ დარჩენილა? რამდენჯერ ამოგვიწყვეტია ციხესა შინა ციხოსანნი თურქნი?

ა ნ ტ ო ნ ი. არცა ქართლში და კახეთში სხედან ჯაბანნი, თაკადო, არც ჩვენ გვიფრენია ნაკლებ ყიზილბაშნი მოსულნი სამტროდ. არც ჩვენ შეგვიმუსრავს ნაკლებ ციხოსანი ურჯულონი და დაგვიქცევია ციხენი მათნი, ოღონდ მოვიდა შაჰ აბას უთვალავი ჯარითა და ააოხრა ქვეყანა, გააცამტვერა, იავარჰყო... ღვთისა ნებითა და სასწაულითა საკვირველით გადურჩა საქართველო აღგვასა პირისაგან მიწისა. მტრისა ძალის აბუჩად აგდება სახიფათოა, ვითარცა სახიფათოა მტრის ძალის განდიდება და შიში მის მიმართ.

ი ო ა ნ ე. თურქეთმა დაიპყრო და დაიმონა ქვეყნები ათჯერ მეტი და ძლიერნი, ვინემ საქართველო თუნდაც ერთიანი... თურქეთი ომობს რუსეთთან, ავსტრიასთან... ვერა უყო რა მას ევროპამ მთელმა... ჩვენი სიტყვა, თითქოს ვიყოთ ძლიერნი თურქეთზე, გავს ყეფას ლეკვისას. რჩევა ჩემი, ბატონებო, ესაა — ნუ გაალვიძებთ ყეფითა ლომსა მძინარესა.

ზ უ რ ა ბ ი. სჯობს იყო ლეკვი ცქვიტი, უშიშარი, იმედით მყოფი ბრძოლასა შინა, ვინემ ლომი ჩაჩანაკი, მხდალი და ჯაბანი.

ა ნ ტ ო ნ ი. ღალატი ვითარც ჭირი უკურნავი ღუპავს ქვეყანასა ჩვენსას ლიხსაქეთ და ლიხსიქითაც.

ზ უ რ ა ბ ი. იმავ ჰორითა და შუღლითა არღვევდნენ ოსმანნი მთლიანობასა ჩვენსა, რათა იმერთა მეფეს არ ყოლოდა მორჩილებასა ქვეშე ოდიში და აფხაზეთი... იცოდნენ, რომ იმათის შეერთებით გამრავლდებოდა ძალნი ჩვენნი და ამით ირყეოდა ოსმალთა განძრახულობა.

ა ნ ტ ო ნ ი. მართალს უბნობს თავადი ზურაბი. ასეა ახლაც. შეერთებითა იმერეთისა ქართლ-კახეთის სამეფოსთან გამრავლდება ძალნი ჩვენნი და ამით შეირყევა მტერთა ჩვენთა განძრახულობა.

ჭ ა ბ უ ა. მეფევ, ჩვენზე უკეთ უწყი შენ, ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება.

ლ ი ო ნ ი ძ ე. ოდითგანვე იყო ოცნება ყოველთა მეფეთა ერთიანობა საქართველოსი.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. უბედურება ქვეყნისა ჩვენისა იყო მუდამ განყოფილება ძალთა, მტრობა და შუღლი თავადთა და მთავართა, აზნაურთა და ფიცისკაცთა...

ლ ი ო ნ ი ძ ე. მრავალმეფობა ღუპავდა საქართველოს მუდამ.

ზ ა ქ ა რ ი ა. უცნაურ არს მსჯელობა თქვენი, დიდებულნო, ვინ ამბობს ერთიანობას დაქსაქსულობა სჯობსო? ყოველმან კაცმან გონიერმან იცის ესე, სჯობს ერთიანი საქართველო, ვითარცა იყო უამსა დავითისა აღმაშენებლისა და თამარისა უბრწყინვალესისა, ოღონდ არის კი საღსარი უმტკივნო ამა ერთიანობისა?

დ ა ვ ი თ ი. გარეშე მსხვერპლისა, გაჭირვებისა და ბრძოლისა არა არის რა. ნუ გაშინებს ტკივილი მოურავო ქიზიყისავ. ვთხოვოთ მეფეს, მიიღოს გვირგვინი იმერთა და სატკივარს ავიტანთ.

ზ ა ქ ა რ ი ა. სატკივარი სატკივარს არ ჰგავს. ზოგით განიკურნების კაცი, ზოგი ჰკლავს კაცსა. კაცისა სიკვდილი უბრალოა, ერისა ძნელი.

ა ნ ტ ო ნ ი. რად სდუმხარ, მეფევ, რად არ ბრძანებ ნებასა შენსა?

ე რ ე კ ლ ე. წესი არს მეფეთა, უსმინონ ქვეშევრდომთა და მრჩეველთა ჯერე.

ჭ ა ბ უ ა. ნუ ჰყოვნი, მეფეო, ერი იმერთა გეაჯება ერთობასა და კავშირსა. ვითარ ეტყვი უარსა? რისთვის არ მიიღებ თხოვასა? ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება.

ე რ ე კ ლ ე. ზაქარიამ ბრძანა: კაცისა სიკვდილი უბრალოა, ერისა ძნელი. მეფეთათვის ღმერთს არ მიუნიჭებია უფლება სწყვეტდნენ ერისა ბედს დაუფიქრებლად, ნებითა და სურვილითა თვისითა. მეფემან ესრეთის საქმის გადაწყვეტისას უნდა განკურჩიტოს მეტი, ვინემ მრჩეველმან მეფისამ.

ჭ ა ბ უ ა. მეფევ, შენ და მამამან შენმა, ნეტარხსენებულმა თეიმურაზმა, შეაერთეთ კახეთი ქართლთან... რაი დაკარგა საქართველომ დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა? შენის ნებითა მოეღო მეამბოხეთა არაგვისა ერისთავთა საერისთავო არაგვი, ვითარ მოეღო საუკუნოდ ქსანი ქსნისა ერისთავთა, რაი დაკარგა ამით სამეფომ? გაძლიერდა და განმტკიცდა მხოლოდ.

ი ო ა ნ ე. დაკავშირება იმერეთისა დიახ ძნელია. ჩვენ ქართლელთა ვერ მოგვიღია ჩვენთვის, ვითარც მოვუაროთ იმერეთსა? რათ ვექმნეთ პატრონად ქვეყანასა, რომელსაცა ჰყავს საკუთარი პატრონი, შვილისშვილი მეფისა?

დ ა ვ ი თ ი. (განრისხებული) მართლა აღიარებს მუხრან-ბატონი, რომ ვერ მოუვლის იგი დღეს ქვეყანასა თავისას ხრმლითა და ბაირაღითა. მოვა დრო და მოსცემს ღმერთი სხვასა მუხრანის-ბატონსა, რომლის ხრმალი უფრო მჭრელი იქნება...

ი ო ა ნ ე. (ფეხზე წამოვარდება. ხმალს ნახევრად ამოსწევს, შეურაცხყოფილი და გაბრაზებული) **მუხრანთ-ბატონებს არასდროს მოუთმენიათ შეურაცხყოფათ ვიგინდარა ყაფლანიშვილებისა და არც მე მოვითმენ! მაპატიე, მეფევ, მაგრამ, მზად ვარ წავაცალო ამა ხრმლითა უგვანო თავი მაგინებელსა დროშისა და ხრმლის ჩემისას!**

სახეალეწილი მუხრან-ბატონი ძლიერად დაჰკრავს ნახევრად ამოწეულ ხმალს მუშტს და უკანვე ჩაადებს. დავით ყაფლანიშვილიც წამოვარდება და მზადაა იშიშვლოს ხმალი. დარბაზი აიშლება. მეფე ერთხანს შუბლშეჭმუხნული, გაბრაზებული შესცქერის მუხრან-ბატონსა და ყაფლანიშვილის წაკინკლავებას. მერე ძლიერად დაჰკრავს მუშტს სავარძლის სახელურს, წამოდგება, თვალს გადაავლებს შეკრებილთ და სწრაფი ნაბიჯით გადის გარეთ.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. **აჰა, თავადნო, სიფიცხითა თქვენითა განაარისხეთ მეფე ჩვენი და დაღუპეთ საქმე დიდი. საქვეყნო და საშვილიშვილო.**

ი ო ა ნ ე. **მუხრან-ბატონებს არ მოუთმენიათ და არც მოითმენენ აუგსა სიტყვასა ვიგინდარა ყაფლანიშვილებისაგან!**

დ ა ვ ი თ ი. **ყაფლანიშვილები არ არიან მუხრან-ბატონები, ოღონდ, არცა ჯაბანნი გვყოლია გვარში... აი, საბუთიც** (იძრობს ხმალს).

ი ო ა ნ ე. **გახმეს მარჯვენა ესა, თუ ვერ დაუხვდეს თუნდაც მოდგმასა მთელსა ყაფლანიშვილებისას** (გააშიშვლებს ხმალს და იწევს ყაფლანიშვილისაკენ).

დ ა ვ ი თ ი. **ა, ხმალი და ა, მოედანი** (ცდილობს ჩამოიცილოს დამკავებლები).

ჭ ა ბ უ ა. **დაწყნარდით, ბატონებო, ნუ აჰყვებით თქმასა გულისასა და ნუ დაღუპავთ ქვეყანას ჩვენსას ისედაც დაღუპულსა!**

(დამსწრენი აშველებენ მოჩხუბართ)

ქ ა ი ხ ო ს რ ო. **ბატონო სოლომონ, ეაჯეთ მეფესა, ნუ გაგვიწყრება, უბრალოდ და უსამართლოდ...**

ლ ი ო ნ ი ძ ე. **დაწყნარდით, ბატონებო, მეფე არ დატოვებს უპასუხოთ დესპანთა თხოვნასა... დარბაზის სხდომა განახლდება.**

ლიონიძე პირველი გადის დარბაზიდან, გადიან სხვებიც.

მცირე ხნის შემდეგ შემოდის ერეკლე. საგონებელში ჩავარდნილი და აფორიაქებული, აღელვებული სცემს ბოლთას ცარიელ დარბაზში.

უაღრესად რთული პრობლემის წინაშე დგას ქართლ-კახეთის მეფე: ქვეყნის გაერთიანება, თუ ქვეყნის განადგურება.

მეფეს ფეხაკრეფით შემოსული მალემსრბოლი გამოიყვანს ფიქრებიდან.

მ ა ლ ე მ ს რ ბ ო ლ ი. **მეფევ, ლეკთა მარბიელი დიდი ლაშქარი გადმოვიდა ყვარლის მთებიდან, გადმოევლო ალაზანს, დაეცა გამოღმა სოფლებს და გაანადგა სრულად. დახოცნეს მრავალნი, გამოირეკეს დიდძალი ტყვე და საქონელი და ეშურებიან ახალციხს.**

ე რ ე კ ლ ე. **ეჰეი, მსახურნო, ჩქარა ცხენი ჩემი და თოფი ჩემი. უხმეთ სარდარსა ყაფლანიშვილსა, სწრაფ შეჰყაროს ჯარი და დამაწიოს უჯარმას აქეთ, ანდა სულაც სამგორის ველზე.**

სურათი მესამე

იგივე სამეფო პალატა. დარბაზში არიან — ერეკლე, ანტონ კათალიკოსი და სოლომონ ლიონიძე.

ა ნ ტ ო ნ ი. მეფევ, გეჯებიან დესპანნი იმერეთისანი და მუხრანთბატონიც იოანე, ბოდიშობს და სწუხს დიდად გულფიცხობისათვის წინარე შენისა... ჩვენც გთხოვთ უღრმესად დაიმშვიდო ნაწყენი გული და განაახლო სხდომა სამეფო საბჭოსი.

ე რ ე კ ლ ე. კეთილო ანტონ, გულუბრყვილო ძმაო ჩემო, შეურაცხყოფ შენა მეფესა შენსა, რამე თუ გგონია, რომ მიზეზი გულჯავრობისა ჩემისა არს კინკლაობა თავადთა უგუნურთა!.. ყოფნა-არყოფნის საკითხი გლეჯს გულსა ჩემსა და აფორიაქებს ძირიძირობამდე სულსა ჩემსა!.. საკითხი ყოფნა-არყოფნისა ერისა ჩემისა, ქვეყნისა კურთხეულისა ღმერთთაგან!..

ლ ი ო ნ ი ძ ე. არა არს საყოყმანო, მეფევ, ერთიანობა ერისა —არს ძალა ერისა.

ე რ ე კ ლ ე. ერთიანობა ერისაო, ამბობ შენ, ბრძენო სოლომონ!.. ერთიანობა ერისა დევს წინაშე ჩემსა, ვითარცა ორი პეშვი წყალი უდაბნოსა შინა მწყურვალთათვის და ღაღადებს ანგელოსი მოვლენილი ზეციო: დააკარებ ტუჩსა და გაქრება ორთავე, ვითარცა ორთქლი ცეცხლსა შინა.

ლ ი ო ნ ი ძ ე. შიში ამცირებს ძალსა, მხოლოდ უშიშარნი ეზიარებიან გვირგვინს დაფნისას.

ე რ ე კ ლ ე. გაბედულობა ერისკაცთა ხვედრია, არჩევანი ყოფნა-არყოფნის ჟამსა ძნელია ერის პატრონთათვის.

ლ ი ო ნ ი ძ ე. არ გაპატიებს ამა ყოყმანსა ერი შენი, მეფევ ირაკლი.

ე რ ე კ ლ ე. სჯა ჟამთა შემდეგ ადვილია. გზა გამოჩნდება მერმედ, გადაბრუნდება როცა ურემი.

ლ ი ო ნ ი ძ ე. დადგა სანატრელი ჟამი, დიდო მეფეო, ლახთ იმერთა ქართველთა, გურიისა, მეგრელიისა და აფხაზთა მთავართა შეიგნეს ძალა ერისა ერთობისა, სძლიეს სწრაფვასა გულისასა, დამღუპველსა ცალკეულად თითოეულისა და ყველასი ერთად.

ა ნ ტ ო ნ ი. ღმერთო დიდებულო, ნუთუ ეღირსება ერთიანობა ქვეყანასა ჩვენსას, საფუძველი სიძლიერისა და სიმტკიცის.

ე რ ე კ ლ ე. უწმინდესობავ, კათალიკოსო ანტონ. ძმაო ჩემო და თანამდგომო, ვალი დიდია ჩვენი, სახსარი პატარა... თვალი შორს სჭრის, გული კიდევ შორს. იღონდ ხელია მოკლე და უსუსური. ვერ სწვდება ხელი წადილსა გულისასა. მცირედაც ვერ სწვდება, სულ მცირედაც კი... აი, უბედურება ჩვენი და ტრაღედია ჩვენი...

ა ნ ტ ო ნ ი. ვიცი, მეფევ, ეგ.. გაქვს შიში სულთანისა იქით და ყაენისა აქეთ. ორ ლომსა შორის დევს ქვეყანა ჩვენი და არ ძალუძს მას თავად გადაწყვიტოს ბედი თვისი უბედური...

ე რ ე კ ლ ე. წყეულიმც იყოს თავი ჩემი და უძლურება ჩემი!..

ა ნ ტ ო ნ ი. ღმერთს ნუ ანრისხებ, მეფევ, უკადრისთა სიტყვითა!

ე რ ე კ ლ ე. სანამ დესპანნი იმერეთისანი გადმოლახდნენ ლიხს, სულთანისათვის უცნობებიათ განძრახულობა მათი... შემომითვალა ჩემმა კაცმა კონსტანტინეპოლიდან — „იმერეთისა და ლიხთ იქითა ქვეყნების შეერთება ქართლ-კახეთის სამეფოსთან, ოსმალთათვის მიტაცება

ა ნ ტ ო ნ ი. (ლოცვად აღაპყრობს ხელებს) ყოვლად წმინდაო დედუფალო ღვთისმშობელო, მეოხ გვყავ ჩვენ ცოდვილთა. ყოველნო ზეცისა ძალნო წმინდათაო ანგელოსთა, და მთავარ-ანგელოსთაო, მეოხ გვეყენინთ ჩვენ ცოდვილთა. წმინდაო იოანე წინასწარმეტყველო, წინამორბედო და ნათლისმცემელო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესო, მეოხ გვყავ ჩვენ ცოდვილთა.

ე რ ე კ ლ ე. ვით გავისტუმრო უარით კარზე მომდგარი ოცნება ჩვენი და ოცნება ჩვენთა მამა-პაპათა! ოცნება ეთელისა ქართველთა ერისა! გული ლამობს გახეთქვას უძლურებითა ჩვენითა... სიმდაბლითა და უღონობითა ჩვენითა... სასოწარკვეთითა ჩვენითა.

ლ ი ო ნ ი ძ ე. ოდეს რუსეთთან სდებდი ტრახტატსა, არ გაშინებდა არცა თურქი, არცა ყიზილბაში...

ე რ ე კ ლ ე. ახლა ომი აქვს რუსეთს თურქეთთან... ორიოდ ბატალიონიც აქ რომ გვყავდა, უკან წაასხა იმპერატორმა, საქართველოზე თავდასხმის საბაბი არ მივცე სულთანსო... მე ვით მივცე იგივ საბაბი?

ლ ი ო ნ ი ძ ე, ნუთუ უარით გაისტუმრებ დესპანთ იმერეთისას?

ე რ ე კ ლ ე. (დაფიქრებული, აღელვებული დაღის წინ და უკან. მცირე პაუზის შემდეგ) ჩემივე სიტყვით უნდა მოვკვეთო ოცნება ჩემი სანუკვარი, ფიქრი ჩემი და აზრი ჩემი ნალოლიავები ჩემითვე.. გინა მარჯვენა მომიკვეთია, ან გული გამიპია საკუთარი და გინა ხელი ამიღია კართან მომდგარ ბედზე, ერის უდიდეს წყალობად რომ მიმაჩნდა მუდამ.

დარეჯანსაო, თანამეცხედრეს ჩემსას, იმერეთისა ტახტზე შვილიშვილი სურს დასვასო საკუთარი, თითქოს ტახტი იგი ტაბლა იყოს სალხინოდ გაშლილი... გოლგოთაა ტახტი ესე, ღმერთო დიდებულო, ნაბოძები შენგან, გოლგოთა სატანჯველი და საწამებელი ვინ უწყის რაოდენ მძიმეა ხვედრი მეფისა უღონოსი, რომელსა არ შესწევს ძალი, დაიცვას სამწყსო იგი მობარებული ღვთით. სიმწარე სულისა მეფისა მეტია. ვინემ მონისა მისისა, რომელ ჰყიდის შვილსა საკუთარსა, რათა იხსნას შიმშილით სიკვდილისაგან სხვანი ჩვილნი და ძუძუთნი... ნუ მიწყენ ამა სიტყვას ღმერთო მოწყალეო, ნუ მიწყენ, რამეთუ სუსტია ძალი კაცისა მოკვდავისა, თუნდაც მეფედ კურთხეულისა...

ლ ი ო ნ ი ძ ე. მეფევ, რამე თუ არაა შესაძლებელი ამა უამსა გაერთიანება იმერეთისა ქართლ-კახეთისა სამეფოსთან, ვიხმაროთ ღონე სხვა, შემდგომად ამისა. იმერეთისა ტახტზე დასვი შვილიშვილი შენი დავით, ვითარც სურს ესე დედოფალსა დარეჯან. შვილიშვილი იქნება მორჩილი და დამყოლი ნებისა შენისა... შევკრათ ტრახტატი მასთან, აგრეთვე სამთავროებთან გურიისა და ოდიშისა, ამა გზითა დავაკავშიროთ ერთსა მთლიან ძალად იმერეთისა მეფე-მთავრები ქართლ-კახეთის სამეფოსთან ურთიერთ დახმარების ვალდებულებით.

ე რ ე კ ლ ე. ვატყობ მე, სოლომონ ჩემო, ბრძენო მრჩეველო და კაცო მართალო გულითა, არ არის სხვა გზა ჩვენისა სიმტკიცისა და ერთობისა ამა გაჭირვებისა უამსა. (მცირე პაუზის შემდეგ) უილაჯობა... კვნესა და შიმშილით ჩივილი შვილთა მცირეთა, ჩვილთა და ძუძუთა...

შემოდის მალემსრბოლი.

მ ა ლ ე მ ს რ ბ ო ლ ი. მეფევ, კვლავ უბედურებაა ჩვენსა თავსა. გადმოვიდა დაღესტნიდან, მარბიელი ლაშქარი ორი ათასი კაცითა, მარტყოფის მთის ხეობითა განვლო საგურამო, გავიდა არაგვსა და შევიდა ტირიფონისა გზითა ქართლსა და დაეცა სოფლებსა დილით წირვისა ჟამსა... წარიტაცა მრავალნი ტყვენი ქალნი და ვაჟნი მოზარდნი, წარვიდა და დადგა მტკვრისა პირსა ქვიშხეთის ბოლოს...

ე რ ე კ ლ ე. მდევარი ჩქარა!.. ეი, ნახურონო, ცხენი ჩემი და თოფი ჩემი! მომყე, სოლომონ!

გადიან. სწრაფი ნაბიჯით შემოდის დარეჯან დედოფალი, მას უკან მოსდევს ჭაბუა ორბელიანი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. მითხრეს, თავადი ჭაბუა ორბელიანი მეფისა ირაკლის საყვარელი შვილიშვილის მოთხრასა ლამობსო.

ჭ ა ბ უ ა. რას ბრძანებ, დედოფალო, მეფისა ირაკლის შთამომავლობას ჩემი ლოცვა და კურთხევა არც მოკლებია და არც მოაკლდება, სანამ მონა თქვენი, ჭაბუა ორბელიანი ცოცხალია...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. შვილიშვილი ჩემი დავითი, იმერეთისის ტახტის კანონიერი მემკვიდრე და...

ჭ ა ბ უ ა. დედოფალო, როგორაც სხვა შვილებსა და შვილიშვილებსა, აგრეთვე დავითსა, არჩილის ძესა. შვილიშვილსა თქვენსა, ნეცა და ჩემი პირმშონიც მზად ვართ ვემონოთ და ვემსახუროთ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. იმერეთისა შემოერთება ქართლ-კახეთისა სამეფოსთან სპობს ტახტსა იმერეთისასა...

ჭ ა ბ უ ა. მართალსა ბრძანებ, დედოფალო, ერთსა სამეფოში ორი ტახტი ან მეფე ორი არ იქნება.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. მაშ შენა, შენსა კეთილისა რჩევითა გადაგიწყვეტია წაართვა შვილიშვილსა ჩემსა დავითსა ღვთისაგან ბოძებული მეფობა იმერეთისა?

ჭ ა ბ უ ა. დედოფალო!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. მეფემ შეიწყნარა ვედრება გენათელისა ევთიმისა, ქუთათელისა დოსითეოსისა და სხვათა დესპანთა და ბრძანა, ლაშქრობიდან დაბრუნებისთანავე განახლება სხდომისა... გირჩევ, ჭაბუა, შეცვალო ჰაზრი და სიტყვა შენი, თუ არ გსურს განარისხო დედოფალი კეთილისმყოფელი და მფარველი შენი.

ჭ ა ბ უ ა. არა, ბატონო დედოფალო, ვერ შევიქმნები ორგული მეფისა და სამეფოისი, ჰაზრი ჩემი დაშთება უცვლელად, მტკიცედ და უკეთუ არ აღსრულდება, შთავიტან თან საფლავსა...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. უბედურო, რად ისწრაფვი სიცოცხლესა და რად მოისპობ ბედნიერებას?

ჭ ა ბ უ ა. დედოფალო, შენ მიბრძანებ არ ვიყო ერთგული მეფისა და ქვეყნისა, ვით დავმორჩილდე ბრძანებასა ესრეთსა?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. ფრთხილად, ჭაბუა ორბელიანო, თამაში ცეცხლთანა არას გიქადის კეთილსა... ფრთხილად, მოთქვამს მე. დედოფალსა ქართლ-კახეთისას!..

ჭ ა ბ უ ა. ვიცი, რასაცა ვიტყვი, დედოფალო, არ ვხედავ კეთილად საქმესა და ასე ვარჩევ?.. ვიყო და მერქვას მრჩეველი მეფისა და ვურჩევდე რასმე ბოროტსა?.. ვგონებ, იქმნება საქმე ეშმაკისა, ბოროტისა კაცისა და ქვეყნის მტერისა. მამა-პაპათა სისხლი დაუღვრიათ ქვეყნისათვის და მეფისათვის. ვარ შვილი

ქვეყნისა და ერთგული მეფისა. ამისთვის გაბედვით ვიტყვი და უშიშრად მოვახსენებ მეფესა ჩემსა და თქვენ ბატონსა ჩემსა დედოფალსა, სიტყვათა ამათ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. წადი. გამეცალე!.. არა ხარ შენ ერთგული არცა მეფისა, არცა დედოფლისა, გველი ხარ წყეული მოვლენილი ეშმაკისაგან დასაბენად გულისა ჩემისა... გასწი, გამეცა, წადი და ანთხიე შხამი შენი!

ჭაბუა ორბელიანი შეურაცხყოფილი და გულმოსული სწრაფი ნაბიჯით გადის.

სურათი მეოთხე

იგივე სამეფო პალატა. დარბაზის სხდომა. ერეკლე მეორე, ბატონიშვილი გიორგი, კათალიკოსი ანტონი, დავით ყაფლანიშვილი, სოლომონ ლიონიძე, ზაქარია ანდრონიკაშვილი, ჭაბუა ორბელიანი, იოანე მუხრან-ბატონი. დესპანნი იმერეთისა: ევთიმე გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, ქაიხოსრო წერეთელი, ზურაბ წერეთელი და სხვანი.

ქ უ თ ა თ ე ლ ი. მოგილოცავ, დიდებულო მეფეო, მტერთა ზედა ბრწყინვალე გამარჯვებასა, დაილოცა მარჯვენა შენი და ხერხიანობა შენი.

ყ ვ ე ლ ა ე რ თ ა დ. დიდება მეფეს ირაკლის, მამასა და მხსნელსა ქართველთა ყოველსა ჭირიდან.

გ ე ნ ა თ ე ლ ი. მიიღე, მეფეო, მადლიერება ჩვენი, ასრეთისა გულმოდგინე მწყემსობისათვის სამწყემსოსი მობარებული ღვთით ღმერთი ზეციერი ყოვლისმხილველი გიზღავს შენ დედათა და მამათა მაგიერ, რომელთაც დაუბრუნე შვილნი მათნი.

ქ ა ი ხ ო ს რ ო. ბატონო მეფე, აგი გვინდა ჩვენცა. ამას გევედრებით და გეჯებით, იყო მწყემსი ჩვენიცა, რავარც ხარ პატრონი დიდად მზრუნველი სამწყემსისო შენისა ქართლსა და კახეთში. შეგვიფარო ჩვენცა ლიხსიქითა ქართველნი —იმერნი, გურულნი, მეგრელნი, აფხაზნი და სხვანი ქართველნი, დაბადებულნი ქართველად და მყოფნი უკუნისი უკუნისამდე ქართველთა რჯულისად...

ზ ურ ა ბ ი. ვინ გაჰყო აგი ხელის გულის ოდენა ქვეყანა ლიხსაქეთად და ლიხსიქითად? განა ძალუძს მთასა უსულოსა თუნდაც პიტალოსა გაჰყოს ორად ქვეყანა შეკრული ოდითგანვე და განმტკიცებული ერთსა მთლიან სახელმწიფოდ!..

ზ ა ქ ა რ ი ა. არა მთამა უსულომა გაჰყო ქვეყანა ჩვენი, არამედ ოსმალომ და ყიზილბაშმა.

დ ა ვ ი თ ი. გაჰყო იმად, რომ არა გვქონდა ჩვენ ერთობა ერთიანი ყოველთა ქართველთა.

ზ ა ქ ა რ ი ა. განა ჩვენ თავისუფალნი ვართ? განა გვძალუძს მოვიქცეთ სურვილისამებრ ჩვენისა?.. განა არ გვმართებს ვუწევდეთ ანგარიშსა დასავლეთით თურქთა და აღმოსავლეთით ყიზილბაშთა?

ი ო ა ნ ე. გენერალ-ფელდმარშალმა გრაფმა პოტიომკინმა აქ მყოფი ორთავ ბატალიონი უკან გაიწვია... ახალს როდის გამოგზავნის?.. მანამ აგი მოხდებოდეს. ოსმალო დაგვატყვევებს, სტამბოლს გაგვრეკს და ცოლშვილიანად გაგვყიდის.

ე რ ე კ ლ ე. (მოუთმენლად იბრუნებს პირს მოსრულ ბატონისაგან და ბატონიშვილ გიორგის ეკითხებოდა) რას იტყვი, გიორგი, შენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ი ო რ გ ი. ხელმწიფეო ჩემო! სიტყვა ჩემი, ვითარცა ჰხედავ, იქნება მრავლისათვის წინააღმდეგი და მაინც გავბედავ მოგახსენო: შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა, თუ გნებავსთ უძლეველობა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა. რა არს უკეთილეს, რა არს მშვენიერ, ვითარ ერთობა ძმათა — იტყვის წინასწარმეტყველი დავით. სამეფო ისრაილთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად მეფობა სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად. მეფობა განყოფილი არა დაადგრეს, — ბრძანებს მაცხოვარი.

ქ უ თ ა თ ე ლ ი. გაკურთხოს ღმერთმა მაღალმა, ბატონიშვილო გიორგი, სიტყვით შენითა ტკბილითა მოესალბუნე გულთა ჩვენთა..

ა ნ ტ ო ნ ი. დიდება შენდა, ღმერთო, რომ მოგვივლინე ბატონიშვილი, მემკვიდრე ტახტისა ესრეთი, ბრძენი გონებითა, ძლიერი მკლავითა და სიყვარულით სავსე გულითა... ბედნიერი ხარ შენ, მეფეო ირაკლი, რამეთუ გყავს შვილი სიყმისა მეცნიერი, განსწავლული, მცოდნე ყოველთა მეცნიერებათა და მოშიში ღვთისა და თაყვანისმცემელი საყდრისა ქრისტესი.

დ ა ვ ი თ ი. თითქოს გულსა ჩემს ჩაჰხედევი და ისე სთქვი სიტყვა ეგი დიდებული, ბატონიშვილო, ვფიქრობ, მეფე ჩვენი სათაყვანებელი ისმენს სიტყვასა შენსას ბრძნულსა და გონიერსა და გაგვახარებს სასურველის გადაწყვეტილებებით.

ე რ ე კ ლ ე. სიტყვა აგი კარგია ბატონიშვილისაგან თქმული, მარა არა მეფისგან, ვისგანაც სიტყვა ყოველი ითქმის აღსრულებისათვის და არა საამებლად სმენისა და გასახარად გულისა.

ჭ ა ბ უ ა. ნუ ჰყოვნი, მეფეო, მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის. ერი იმერთა ითხოვს ერთობასა და კავშირსა. ვითარ ეტყვის მეფე უარსა? ვიცი და ბესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო, ვითარ მოუღო მეფობა შვილიშვილსა ჩემსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამღუპავი ქვეყნისა... ნუ იზამ, მეფეო, ამას... ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება... გეჯებით, მეფეო. ნუ გაისტუმრებ დესპანთა გაწბილებულთ, მოიღე წყალობა და გვირგვინი მთელისა საქართველოისა.

ე რ ე კ ლ ე. დიდებულნო, ვისმინე სიტყვა ყოველი თქმული თქვენგან გულით... ჰაზრი სწორი და მართალი სარგო ქვეყნისათვის.. .ოღონდ, მეფეს მართებს მეტი ცოდნა სხვათა გარემოებათა, გარდა გულისა სურვილისა... თხოვასა ამას ვერ მივიღებ, მტერი მადგას კარსა. დესპანნო! წადით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილიშვილსა ჩემსა და ესრეთის კავშირთა თავით თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა. დესპანნო! და თქვენცა დარბაზის წევრნნო! უფლისა იესო ქრისტეს მონა, მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ირაკლი მეორე გარწმუნებთ ყოვლისა საიმერეთოსა და სხვათა სამთავროთა ოდიშისა და გურიისას, ერთობით თავადთა, აზნაურთა და ერთა ქვემოსა ივერიისა

ესრეთ: ყოველი მტერი თქვენი მივიღო ვითარცა მტერი ჩემი და მტერი ყოვლისა სამეფოისა ჩემისა და ვიყო მტერი მტრისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა. უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა ანუ სხვათა ძალითა, სიტყვითა და საქმითა შეძლებისა ჩემისამებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა... იყოს გარეშეთათვის სამეფო ორი — ლიხს იქით და ლიხს აქეთა, ხოლო ქართველთათვის სამეფო ერთი, ურთიერთს შემწე და დამხმარე, ერთისა, ჭირითა და ლხინითა ერთითა... ადიდე, ღმერთო, ქვეყანა ჩვენი ერთიანი, ქვეყანა ქართველთა! ამინ...

ა ნ ტ ო ნ ი. ამინ!

ყ ვ ე ლ ა. ამინ! ამინ! ამინ!

ე რ ე კ ლ ე. ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ დესპანნო სახლთუხუცესო, უმასპინძლე სტუმართ... მეც ახლავ გეახლებით... (ყველა ფეხზე დგება, მაგრამ წასვლაი არავინ მიდის. ყველა მეფეს შესცქერის. შინაგანი დაძაბულობისაგან მეფეს აღგზნებული და იმავ დროს უძლური შეხედულება აქვს, თითქოს უცბად ამ ხალხის თვალწინ დაბერდა და დაჩაჩანაკდაო) დიდებულნო, მაპატიეთ ზრდილობა ესე... მცირე ხნით დამტოვეთ მარტო.

ყველა გადის. ერეკლესთან ლიონიძე რჩება. მეფე ბოლთას სცემს დარბაზში. მერე ფანჯარასთან მივა და ფარდას გასწევს.

ღმერთო დიდებულო, ქვეყანა იგივ არს, რაიც იყო... მწათობი ცაზეა და კვლავაც, თითქოს არა მომხდარიყოს, ჰფენს ცხოველმყოფელს სხივებს ცოდვილსა დედამიწას. მარტო მე არ ვარ იგივ... თითქოს საკუთარი ხელით დამეკლას შვილი ჩემი პირმშო, გული საგულეს არ ჩერდება და დრტვინავს სული შფოთვით.

ლ ი ო ნ ი ძ ე. მაპატიე, მეფევ, ვიცი გაწუხებს სატკივარი ერისა... წუხილი და ჭირი შენი დიდია ჩემზე, ვითარცა ძალი და გონება შენი... ოღონდ, მეფეო..

ე რ ე კ ლ ე. გაჩუმდი, ლიონიძევ, მჭევრმეტყველებას შენსას არ შესწევს ძალი აღწეროს ბოღმა ჩემი და ტკივილი ჩემი... ამად სჯობს ყუჩობა... დაე, გახეთქოს გული უკიდეგანო ძრწოლამა... დაე აღრიოს სული ვარამმა, რამეთუ ვართ უძლურნი და უსუსურნი შესაძლებლობითა ჩვენითა.

ლ ი ო ნ ი ძ ე. მეფევ!

ე რ ე კ ლ ე. გაჩუმდი-მეთქი, უწყალოვ, ნუ ჯიჯგნი გულსა საკუთარსა და ნურცა ჩემსას... ღმერთო ძლიერო, ღმერთო ყოვლისა შემძლევ და გამჩენო სამართლისა, რად მომეც ფიქრი და სწრაფვა საწვალებელი სულისა, რად მომეც გონება საღი, შორსმჭვრეტი და ღონე მცირე და უქნარი... მოკვდი, გულო, რამეთუ არ ძალგიძს აღსრულება საწადელისა მთელისა ცხოვრებისა შენისა!.. ღმერთო მაღალო, რად მომისაჯე მე მონას შენსას სატანჯველი ესე? რად მომივლინე მწყურვალს წყარო სიცოცხლისა, თუ არ შემეძლო სმა მისი?! რად მიბოძე თავკაცობა ერისა, თუ სატანჯველად მიქცევდი ყოფას კაცისას?!.. კაცი ვარ მოკვდავი, საფიქრელი კი მომეც ღმერთთა!

სურათი მეხუთე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცენა ძაძითაა მოსილი. ისმის გლოვის ზარების ძუმაძრწუნებელი რეკვა და ქოროს გულში ჩამწვდომი შორეული გუგუნი. გარდაიცვალა ერეკლე მეორე. ჩაბნელებულ სცენაზე ეულად დგას სოლომონ ლიონიძე.

ლ ი ო ნ ი ძ ე. დიდნო მფლობელნო, დიდნო იმპერატორნო! სტიროდეთ ახლად ქვეყნისა დიდებასა, სტიროდეთ სახლსა უავღუსტესსა თქვენსა, შერაცხეთ ცუდად სოფლისა დიდება. ისმინეთ ესე სახსოვრად სასმინარი: მოკვდა ღურკულეს, უძლეველი მეფეთა და მზესა ქვეშე, და იხილეთ ყოველი ამაო.

რად სტირი, სადავითოვ სახლო?

თუ ოსმანთ დაიპყრეს საყდარი მეფობისა შენისა, საკურთხეველი წმინდა ღმთისა, — მეფე ირაკლი სიმთელით ბრძანდებოდეს, რომელმაც ხერთვისის დამპყრობელისა და ასპინძის მტრის სისხლში გამოწრთობილისა ხმლით ხვანთქარს ქერიმ-ხანთან საჩივარი მოაწერინა: „მეფე ერეკლე სარათის ქვეყნებს მართმევს და შენ დაუშალეო". ქერემ-ხანი იტყოდა: „მეფე ერეკლე ასეთი რამ ბრძანდებოდა, რომ ხვანთქარი ჩემთან საჩივლელად დაამუხალაო", მაშინვე უძლეველობის ნიშნად სახელმწიფო ხმალი მოართვა!

რად სტირი, სადავითოვ სახლო?

თუ სპარსთ დაიპყრეს შენი უმაღლესი ტახტი, შენგან წინაპართ შობილთ მეფე შარავანდედი — მეფე ერეკლე ცოცხლებდინ საუკუნოდ, რომელმაც საქართველო ნადირ-ავშარისაგან გამოიხსნა და ფათალი ხან, ავშარის მეფე აზათ-ხან ათასი ერთით წარიქცია, რომელსაც დიდება მეორემ ალექსანდრემ— პრუსიის მეფემ ფიდერიკოს — თეთრზე დაწერა: „ევროპაში მე ვარო და აზიაში — ღურკულეს უძლეველი, საქართველოს გიორგიანთ მეფეო".

რად სტირი, სადავითო სახლო?!

განკრთი, განჭკვირდი, სტიროდე, ცაო, რომ შენის სინათლისა და ვარსკვლავთაცა აბრაჰისამებრ განკვირვებით მხედველი მეფის ერეკლეს უმაღლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა.

დაბნელდი, მზეო, რომელსაც გაქვს მომასწავლებელი დაბნელებით ჭირისუფლება, რომ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა — მეფე ერეკლე შენს ბრწყინვალებას ველარა ჰხედავს!..

ხელმწიფევ მფლობელო, საზოგადო მამავ, მეფევ ირაკლი! ვის მივსცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველის ტანის უზომო ტრფიალება? ვის დროშას ვემსახურო? კინ შევიყვარო? ვისთვის მოვკვდე? ვისთვის ვიცოცხლო შენს უკან სიცოცხლე საზრახავად ვამწარებულმან!

დამწუხრებული, თავჩაღუნული სოლომონ ლიონიძე მძიმე ნაბიჯით, ლასლასით ვადის სცენიდან.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ე

სურათი მეექვსე

სპექტაკლის მეორე განყოფილების ყველა მონაწილე სცენაზეა. ერეკლე შედის სცენის სიღრმეში, სადაც ცალკეული სცენების გათამაშება ხდება. მას უახ-

ლოვდება ბატონიშვილი გიორგი. ერეკლე გვირგვინს იდებს თავზე და გიორგის ეგებება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ი ო რ გ ი. გეახელ, მამავ და მეფევ ბატონო, აღსასრულებლად ბრძანებისა თქვენისა.

ე რ ე კ ლ ე. მითხრეს, ნაწყენიაო შვილი და მემკვიდრე.. .იქნებ სთქვა, რაზე? მოვხუცდი, შვილო ჩემო, უმძრახობა აწინდელ და მომავალ მეფეთა შორის დააქცევს ქვეყანას.

გ ი ო რ გ ი. ვინ მომცა უფლება, ვიყო უმძრახი მბრძანებლისა ჩემისა.

ე რ ე კ ლ ე. მამა ვარ შენი.

გ ი ო რ გ ი. დიახ, მეფეო, მამა ბრძანდებით ჩემი და პაპა შვილისა ჩემისა, რომელსაც ქართველთა ჩვეულებისამებრ, მართებს იყოს მემკვიდრე ტახტისა სამეფოისა ქართლ-კახეთისა.

ე რ ე კ ლ ე. მესმის გულისწყრომა შენი...

გ ი ო რ გ ი. გულისწყრომა, მეფევ ბატონო, სახსენებელი არაა, შეცვლა ადათისა მამა-პაპათა არის მომტანი ავისა.

ე რ ე კ ლ ე. კარგი, გეყოფა, გაჩუმდი!.. ვიცი ყოველი ეგე... ვიცი და აწუხებს სულსა ჩემსა მოქმედება ჩემივე უნებური.

გ ი ო რ გ ი. მამავ!

ე რ ე კ ლ ე. ანდერძი ესე უგვანო, შედგენილი დედოფლისა რჩევითა ყორღანაშვილ ოსეფასაგან, რომელიც მივეცი მე შენსა ძმებსა, ჟამსა გონება დაკარგულობისა სნეულობისა გამო, ჩემისა სურვილისა გარე იყო შედგენილი და ამიტომაც ძალადაკარგულია... დამიჯერე, შვილო ჩემო, ვფიცავ მშობელსა ჩემსას თეიმურაზს, რომ ამ ანდერძზე თანახმა არ ვარ... მოგწერ და დავამტკიცებ ამას, ოღონდ მერე, ოდეს დამთავრდება ომი და იქნება მშვიდობა... გარწმუნებ ღმერთის სახელით, რომ არავის ცდილობით უფლებას შენსას არ შევლახავ, ხოლო ანდერძის წიგნს, მიცემულს შენისა ძმებისათვის, მოვსპობ.

გ ი ო რ გ ი. გმადლობ, მამავ და მეფევ, სიტყვისა კეთილისათვის.

ე რ ე კ ლ ე. მერწმუნე, შვილო ჩემო, არ აღვუდგები წინ არცა უფლებებსა შენსას, არცა შენისა ძმებისასა...

გ ი ო რ გ ი. ანდერძი იგი, უგვანო, თქმითა თქვენითა, მეფევ ბატონო, შეიტანს შუღლსა და აღრეულობას სამეფოში... გეჯები ულრმესად, მოსპო იგი ახლავ...

ე რ ე კ ლ ე. ახლა ომია. ერთობა და ძალთა მოკრება გვმართებს ყველას. გაუქმება იმა ანდერძისა აამხედრებს ძმებსა შენსა და სხვათა ნათესავთა მათთა... დაიქცევა სამეფო, დასუსტდება... მორჩება ომი და სახელითა ღვთისათა, მაცხოვრისა ჩვენისა, გაძლევ სიტყვას მამისასა და მეფისასა, მოვსპობ იმა ანდერძს და აღვადგენ წესსა და ადათსა მამა-პაპათა...

ერეკლე იხდის გვირგვინს და უკან ბრუნდება. სამეფო გვირგვინს გიორგი მეთორმეტე იდებს თავზე.

ე რ ე კ ლ ე. იმ ანდერძის გაუქმება მჭონდა გადაწყვეტილი. გიორგიზე მიწერილი ბარათითაც დავადასტურე ეს. ოღონდ აღარ დამცალდა. ვერ მოვასწარი მემკვიდრესათვის მიცემული ხიტყვის შესრულება და ამან დაღუპა მამული ჩვენი.

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. დაღუპაო, მკაცრადაა ნათქვამი, უსიამოვნება კი საკმაოდ მიაყენა.

ე რ ე კ ლ ე. ქართლ-კახეთის ტახტის გაუქმების საბაბად ამ ანდერძით გამოწვეული შვილთა და შვილიშვილთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება იქცა.

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. კატალიზატორის როლი ითამაშა მაგ საბაბმა, თორემ ქართლ-კახეთის ტახტი ისედაც განწირული იყო, როგორც განწირულია რუსეთის იმპერატორთა ტახტიც.

ე რ ე კ ლ ე. რუსეთის იმპერიას რა შეარყევს?

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. მომავალი... შენის წყალობით, მეფევ, საქართველოს ბედი მტკიცედ შეეკრა რუსეთისას და შვილთა შვილნი ჩვენნი მოწმენი იქნებიან საოცრებისა, რომლის წარმოდგენაც გვიჭირს ახლა.. .ისტორია თავისას იქმს.

ე რ ე კ ლ ე. მაშინებს ორპირობა იმპერატორთა. მე უკვე ვიწვნიე ამ ორპირობის სიმწვავე კრწანისის ველზე... რას უქადის ის ჩემს ერს მომავალში?

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ხუთი ათასი კაცით ძნელი იყო 35 ათასიან ურდოსთან შებმა.

ე რ ე კ ლ ე. მე რომ ყოვლად მოწყალე დედოფლისაგან დაიმედებული არ ვყოფილიყავ, სხვა ხერხით დავიცავდი თავს.

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. იყო კი სხვა ხერხი?

ე რ ე კ ლ ე. უმაღლეს კართან შეკრული ფიცი რომ დამერღვია და აღა-მაჰმად-ხანს შევთანხმებოდი, ის უბედურება არ დამატყდებოდა.

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. შენ არ იკადრებდი ამას.

ე რ ე კ ლ ე. არც ვიკადრე. 1786 წლის დეკემბერში საჭურისმა ყაენმა თავად ციციშვილის პირით შემომითვალა: „მე თქვენთან დოსტობა მწადია და მინდა. ჩვენ შორის სიყვარული და მეგობრობა იყოსო“. იმასაც დამპირდა — აზერბაიჯანის მომიჯნავე ტერიტორიებს სამკვდროდ დაგითმობ, როგორც ერევანი გიჭირავსო.

ლ ი ო ნ ი ძ ე. რატომ არ შეუთანხმდი?

ე რ ე კ ლ ე. ეგ ხომ პირობის დარღვევა და რუსეთის მიმართ ღალატი იქნებოდა.

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. გულზე ხელის დადებით მითხარ, მეფევ, გჯეროდა კი ყაენის დაპირებები?

ე რ ე კ ლ ე. აღა-მაჰმად-ხანის ღალატიანობა საქვეყნოდ იყო ცნობილი, მაგრამ ეკატერინემაც რომ ორპირობა გამოიჩინა.. ვალდებულებაზე რომ არა ვთქვათ რა, თავისი ქვეყნის პრესტიჟის დაცემასაც არ მოერიდა და, მფარველობაში მყოფი ქვეყანა ურჯულოთ ააოხრებინა... არასოდეს ვყოფილვარ სხვისა იმედად და ალბათ ამიტომაც არც დამარცხების ესოდენ დიდი სიმწარე მიგემნია ოდესმე. იმედის გაცრუება მტკივნეულია დიდად. რუსეთთან დაკავშირებამ თურქები, დაღესტნელები და ირანელები ერთიანად ამიმხედრა, დახმარება კი არ გამოჩნდა.

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. კრწანისის ტრაღედიამ იმპერიას თვალი აუხილა და საქართველოსა და რუსეთის ინტერესთა ერთიანობა შეაგნებინა.

ერეკლე. ნიაღვრად მოვარდნილი სისხლი და კვამლით დაფარული თბილისის ზეცა ვერ მომიცილებია თვალთაგან.

ლიონიძე. სისხლი აღარაა, არც კვამლია, მაგრამ დრტვინვა და ოხვრა არ სცილდება საქართველოს ზეცას.

ერეკლე. რუსეთის ხელმწიფესთან მფარველობის ტრაქტატი დავდე და არა ყმობისა.

ლიონიძე. ლომის მეგობრობა ცხვართან საბიფათო იყო მუდამ.

ერეკლე. მეც მყავდა მფარველობის ქვეშ განჯის, ერევნისა და სხვა სახანოები, მაგრამ მე ისინი მონობაში არა მყოლია, არც ჩემი რჯული მომიხვევია მათთვის.

ლიონიძე. შენ არც იმპერატორი იყავ!

ერეკლე. აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარი რაწამს შუშის ციხეს შემოერტყა, იბრეიმ შუშის ხანის დასახმარებლად ალექსანდრე ბატონიშვილი ვაფრინე ქართველთა რაზმით, თუმცა ვიცოდი, რომ ამით ირანის მბრძანებელს ჩემს წინააღმდეგ ავამხედრებდი.

ლიონიძე. მეფე კი არა, ბელადი იყავ შენი ხალხისა, თივთიკის ლოგინს ნაბადზე სცვლიდი და თვალ-მარგალიტის სამშვენისებრ მარჯვე თოფი და ხმალი გერჩივნა... ევროპაში ამბობდნენ შენზე, მეფევ. „იგი ყველაზე უფრო სრული პიროვნებაა, როგორიც კი გამოჩენილა აღმოსავლეთში. მისი ჭკუა, გამოცდილება, შეუდარებელი მამაცობა, მუდმივი სამართლიანობა და განუსაზღვრელი ლიბერალობა — ეს ღირსებები მას თავისი ხალხისა და ჯარისკაცთა სათაყვანებელ კერპად ხდიან, მეზობლების საკვირველებად და მტრების რისხვადო". აი, როგორ გახასიათებდნენ შენსავე სიცოცხლეში, მეფევ, უცხოელები.

ერეკლე. ხალხმა ბევრი შეიძლება თქვას კარგიც და ცუდიც, ოღონდ თავად არ ვარ კმაყოფილი ჩემი ღვაწლისა, რამე თუ ვალი მეფისა როდი ამოიწურება სიცოცხლეში ნამოქმედარით... პასუხისმგებელია იგი იმაზეც, რაც ხდება მერე.

ჭავჭავაძე. უსამართლო ხარ, მეფევ, გიორგის მიმართ, შენ შენი გაჭირვება გქონდა, იმას თავისი. მინდა გაგახსენოთ ერთი სურათი გიორგი მეთორმეტის მეფობის დროიდან და ისიც, თუ როგორ შეცვალა აღმოსავლეთის დიპლომატია საქართველოს რუსეთთან დამოყვრებამ. აბა უსმინე ირანის — ყაენის ელჩის საუბარს გიორგი მეფესთან... ნუ გაგიკვირდება ქართლ-კახეთის მეფე ირანის ელჩს მის კარზე აკრედიტებულ იმპერატორის მინისტრის ბინაზე რომ იღებს, რამეთუ უნდა ხაზი გაუსვას მეგობრობას რუსეთთან.

პროექტორების სინათლე კვლავ მცირე სცენაზე გადადის. ქართლ-კახეთის მეფის კარზე წარმოგზავნილი რუსეთის იმპერატორის მინისტრის კოვალენსკის ბინა. იმპერატორ პავლეს სურათი კედელზე. ოთახში არიან კოვალენსკი და ლაზარევი.

კოვალენსკი. სადაცაა მობრძანდება მეფე გიორგი.

ლაზარევი. ვინ მოაწყო ეს მასკარადი, თქვენ თუ გიორგიმ?

კოვალენსკი. რა მასკარადზე ბრძანებთ, ივან პეტროვიჩ?

ლაზარევი. ბაბა-ხანმა ელჩი გიორგი მეფეს გამოუგზავნა და არა თქვენ.

კოვალენსკი. რას ხედავთ საძრახისს?

ლაზარევი. მისი უდიდებულესობა რუსეთის იმპერატორის მინისტრი ბრძანდებით ქართლ-კახეთის მეფის კარზე...

კოვალენსკი. ირანის საქმეთა რწმუნებულიც ვარ, გენერალო.

ლაზარევი. მით უმეტეს. თქვენს ბინაზე ელჩის მიღება პასუხისმგებლობას აკისრებს იმპერატორის კარს... ქართლ-კახეთის მეფე კი ხელგახსნილი რჩება.

კოვალენსკი. მერე, რით არის ეს ცუდი?

ლაზარევი. რაც მეტი შიში ექნებათ ქართველებს ირანელებისა, მით მორჩილნი იქნებიან ისინი უმაღლესი კარისა.

კოვალენსკი. ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვა მტერთაგან რუსეთის პრესტიჟია... ჩვენ ეს ვალდებულება ტრაქტატით ვიკისრეთ.

ლაზარევი. თქვენ გავიწყდებათ ამ ხალხის მეამბოხე ბუნება. მათი დამორჩილება მხოლოდ შიშით შეიძლება.

კოვალენსკი. ქართველები მეგობრობას სცემენ თაყვანს და არა შიშს.

ლაზარევი. შიში, შიში და ნახოლოდ შიში... აი, იმპერიის დასაყრდენი.

კოვალენსკი. სულაც არ მსურს გიორგი მეფემ ელჩთან საუბარი თავი შებორკილად იგრძნოს.

ლაზარევი. ნამეტანს ხომ არ სწყალობთ უცხო მეფეს, საკუთარის ხარჯზე?

კოვალენსკი. ჩვენ აქ საქართველოს მეგობრად ვართ მოსულნი.

ლაზარევი. რუსეთის იმპერიას ვასალი სჭირდება და არა მეგობარი.

კოვალენსკი. 1783 წლის ტრაქტატით ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის მოკავშირეა და არა ვასალი, ან მონა.

ლაზარევი. მცირე ქვეყანა დიდი ქვეყნის მხოლოდ ქვეშევრდომი შეიძლება იყოს...

კოვალენსკი. მორჩილ მონას მუდამ ძლიერი მეგობარი მერჩივნა.

ლაზარევი. გაგონილი მაქვს თქვენი კეთილი გულის ამბავი... ისიც ვიცი, ქართული რეგულიარული ჯარის შექმნას რომ შეჰპირებიხართ მეფე გიორგის.

კოვალენსკი. ქართული რეგულიარული ჯარის შექმნის შესახებ ჯერ კიდევ აქ გამომგზავრებამდე მივართვი მოხსენება იმპერიის სახელმწიფო საბჭოს.

ლაზარევი. მერე, ვინღა შეგიშალათ ხელი?

კოვალენსკი. თქვენ.

ლაზარევი. მე?! საოცარია ღმერთმანი. განა როცა მაგ მოხსენებას სწერდით, ჩემი იმედი გქონდათ?

კოვალენსკი. დამცინით, გენერალო?

ლაზარევი. აჰ, ვიცი. თქვენ სამოქალაქოსთან სამხედრო ხელმძღვანელის უფლებასაც ითხოვდით. ერთხელისუფლებიანობა გინდოდათ. ასე არაა?.. ოღონდ კოვზი ნაცარში ჩაგივარდათ. ჯარის წინამძღოლად მე

დამნიშნეს... დამატებით ბატალიონების გამოგზავნას რისთვისღა ითხოვთ?.. ეგ ხომ მე გამაძლიერებს და არა თქვენ!

კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი. არ მინდა განმეორდეს კრწანისის ტრაღედია. ვალდებულების შესრულება რუსეთის იმპერიის პრესტიჟია.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. როცა ათი თავით მაღლა დგახარ, მაშინ პრესტიჟზე ლაპარაკი უაზრობაა.

კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი. მოსაბეზრებელი ჭკუის სწავლებითა და უსაფუძვლო მედიდურობით ხშირად მტრად ვაქცევთ ხოლმე იმას, ვინც შეიძლებოდა მოყვარედ გვყოლოდა.

შემოდის თეოდორე ტამბოველი.

თ ე ო დ ო რ ე. (ხმამაღლა აცხადებს) მისი უდიდებულესობა ქართლ-კახეთის მეფე გიორგი!

შემოდიან მეფის მოხელენი, შემოაქვთ მეფის საკარძელი, გვირგვინი, სამეფო კვერთხი, პორფირი და შტანდარტი. მათ მოსდევენ ეგერთა პოლკის უფროსი ოფიცრები. ბოლოს შემოდის გიორგი მეფე. ესალმეპა კოვალენსკის, ლაზარევს და ჯდება სავარძელში.

კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი. თქვენო უდიდებულესობავ, ჩემი მდივანი და თქვენი ადიუტანტი წავიდნენ ელჩის მოსაყვანად. მალე აქ იქნებიან.

გ ი ო რ გ ი. გმადლობთ, მინისტრო!

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. თქვენო უდიდებულესობავ, მართალია, ახლა ამის დრო არაა, მაგრამ მაინც უნდა მოგახსენოთ, ჩემი პოლკი შუშისა და ფაფის გარეშე დარჩა..

გ ი ო რ გ ი. გენერალო!

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. მე ვიცი, თქვენო უდიდებულესობავ, რომ ბრძანება გაეცით, მაგრამ თქვენ ბრძანებას ქვეშევრდომნი არ ასრულებენ. ჩვენს ჩერვონცს აქაური ვაჭრები ოთხ მანეთად იღებენ, ჩვენ კი მას სალდათებს ხუთი მანეთის ანგარიშში ვაძლევთ. თითოეული მათგანი მანეთზე ოცდაექვს კაპიკს კარგავს.

კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი. ბოდიში, გენერალო, მაგრამ უნდა შეგაწყვეტინოთ. სადაცაა შემოვა ელჩი, გთხოვთ, დაიკავოთ თქვენი ადგილი. (ხელს წაავლებს და დარბაზის შორეულ კუთხეში გაჰყავს).

შემოდის თეოდორე ტამბოველი.

თ ე ო დ ო რ ე. მისი უდიდებულესობის ირანის მბრძანებლის ელჩი!

შემოდის ირანის ელჩი თანმხლები პირებით. ჯერ გიორგი მეფე, ხოლო შემდეგ კოვალენსკი ესალმებიან ელჩს. გიორგი მეფე ელჩს სკამზე მიუთითებს. კოვალენსკი, როგორც ბინის პატრონი, ხილით უმასპინძლდება სტუმარს.

ი რ ა ნ ი ს ე ლ ჩ ი. გიორგი ხან, ერანის მბრძანებელმა, უძლეველმა და მზისსადარმა ბაბა-ხანმა გამოგიგზავნა შენ, ქართლ-კახეთის მეფეს, ეს ფირმანი (ეამბორება და ისე მიაწვდის ფირმანს), აღმოსავლეთის ამომავალმა ვარსკვლავმა აბას-მირზამ თავის მხრივაც გაახლა ბარათი (ეამბორება და მიაწვდის), ხოლო ეს რჩევანი ერანის დიდებულებმა მოგვართვეს, რათა არ ასცდე გზას მაცდურ სინათლეს გაყოლილი და არ დაიღუპო შენ და არ დაღუპო ქვეყანა შენი,

გ ი ო რ გ ი. მადლობა მომიხსენებია დიდებული შაჰისათვის და აგრეთვე მისი ბრწყინვალე მემკვიდრის აბას-მირზასათვის. წავიკითხავთ მზისსადართა წიგნებს და ერანის დიდებულთა რჩევასაც მოვისმენთ.

(ზედაც არ უყურებს, ისე აწყობს იქვე მაგიდაზე მოწოდებულ ბარათებს).

ე ლ ჩ ი. ჩემმა მბრძანებელმა აბას-მირზამ დამავალა პირისპირ შეხვედრა შენთან, მეფეო. ორი მეზობლის ალერსს უხერხულია როცა მზერს მესამე, მოსული შორით.

გ ი ო რ გ ი. ადამიანთა სიყვარულს მეზობლობა კი არა, ურთიერთგაგება განსაზღვრავს. არ შემიძლია და არც მსურს მოლაპარაკება ყაენის დესპანთან რუსი მინისტრის დაუსწრებლად.

ე ლ ჩ ი. (ასეთი მოურიდებელი პასუხი ელჩს აბნევს, მაგრამ იგი მალე პოულობს გამოსავალს) რუსეთიც მეზობელია როგორც ერანის, ასევე გურჯისტანისა. სახელმწიფოთა შორის საიდუმლო თათბირს არ უნდა ისმენდნენ უცხო პირნი... ამის თქმა მინდოდა მეფეო! (ანიშნებს მსახურებზე და სხვა დამსწრეებზე).

გ ი ო რ გ ი. (გიორგის ნიშანზე კოვალენსკისა და ელჩის გარდა ყველა გადის დარბაზიდან) აჰა, დავრჩით მარტონი... სიამოვნებით მოვისმენთ ერანის მბრძანებლის დანაბარებს მეც და დიდი რუსეთის იმპერატორის მინისტრიც, რომელსაც იმპერატორისაგან ერანთან ურთიერთობის მოგვარებაც აქვს მინდობილი.

ე ლ ჩ ი. ორი წელია გურჯისტანის მეფეს არ გაუსარებია თავისი მოკითხვით დიდებული ყაენი. ერანის ნბრძანებელი იყო და არის მეგობარი გურჯისტანის მეფისა და სურს ასეთივე ძმური სიყვარული იგრძნოს შენგანაც, მეფეო.

გ ი ო რ გ ი. გული ჩემი ყოველთვის სავსეა საპასუხო გრძნობით.

ე ლ ჩ ი. (ირიბად გადახედავს კოვალენსკის, დაბალი ხმით, თითქოს მარტო გიორგის გასაგონად) დიდ ყაენს, მბრძანებელს ერანისას, სიყვარული შეუძლია, მაგრამ მან სიძულვილიც იცის... ვაი იმას, ვისაც ეწევა მისი რისხვა... შენ ბედნიერი ხარ გიორგი ხან, რომ დიდი ყაენის წყალობის მზიური სხივი გათბობს.

გ ი ო რ გ ი. ტყუილად წუხს ლომი ერანისა. ჩემი გული ისევეა სავსე მისდამი სიყვარულით, ვითარცა ყაენისა ჩემდამი.

ე ლ ჩ ი. გიორგი ხან, გაეცნობი რა ერანის ძლევამოსილი შაჰის ფირმანს და იქ ჩაქსოვილ სიყვარულს შენდამი, მჯერა, რომ განიმსჭვალები დიდებული ყაენის სურვილთა შესრულების ყინით.

გ ი ო რ გ ი. ვარ რა უსიტყვოდ მინდობილი ქართლ-კახეთის აწ განსვენებული მეფის, ჩემი მშობლის წმინდათაწმინდა აღთქმისა, რომელმაც 1783 წლის საზეიმო ტრაქტატით საპოლოოდ დაუკავშირა საქართველოს ბედი რუსეთის იმპერიას, არ ძალმიძს შევასრულო რომელიმე სხვა ქვეყნის მოთხოვნა, მისი უდიდებულესობის სრულიად რუსეთის იმპერატორის, ჩემი საიმედო მფარველის სურვილის გარეშე.

ე ლ ჩ ი. თქვენს მშობელს, აწ გარდაცვლილ მეფე ირაკლის, პაპაშენსაც თეიმურაზს და სხვათაც, აღრინდელ მეფეებს საქართველოსას, რუსთა იმპერატორის უწინარეს ჰქონდათ ფიცი მიცემული ერანის შაჰთათვის.

გ ი ო რ გ ი. სპარსეთთან ურთიერთობის საკითხების მოგვარება მისმა უდიდებულესობამ რუსთა იმპერატორმა ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე მყოფ თავის მინისტრს მიანდო.

ე ლ ჩ ი. დიდად ვარ მოხარული, რომ გურჯისტანის მეფის კარზე გავიცანი ასეთი დიდი რწმუნებით აღჭურვილი პირი.

კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი. მოხარული ვარ მეც, ერანის დიდი ყაენის ელჩის გაცნობით და კიდევ უფრო მეტად გავიხარებდი, თუკი მოვისმენდი პასუხს, ჩემს მიერ რუსეთის იმპერატორის დავალებით ერანის მბრძანებელისათვის გაგზავნილ კეთილ სურვილებზე.

ე ლ ჩ ი. ასეთი რწმუნება არ მიმიღია.

კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი. სამწუხაროა. რუსეთის იმპერატორს სურს კეთილმეზობლური დამოკიდებულება ექონდეს ერანის ყაენთან.

ე ლ ჩ ი. მზისადარი ყაენის დავალება მხოლოდ გურჯისტანს ეხება. ჩემის მხრივ, ქართლ-კახეთის სამეფოს კეთილმოსურნემ, მინდა გავაფრთხილო გიორგი-ხანი, რომ ერანის ახლად ამომავალი მთვარე და ყაენის თვალის ჩინი აბას-მირზა 30 ათასი შერჩეული მეომრით შევიდა აზერბაიჯანში და სასომხეთში. იგი სიყვარულით ავსებს და აჯილდოვებს მეგობრებს და სპობს, წვავს და ძირფესვიანად სთხრის ურჩებს.

კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი. თქვენ მხედველობიდან ერთი გარემოება გრჩებათ, ბატონო ელჩო!

ე ლ ჩ ი. გულისყურით გისმენთ, ჩემო ბატონო.

კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი. რუსეთმა იკისრა საქართველოს მფარველობა და მის მტერს საკუთარ მტრად ჩასთვლის ყოველთვის.

ე ლ ჩ ი. ქართლ-კახეთის სამეფოს სიყვარული მალაპარაკებს. დიდი და მკაცრი მტერი უახლოვდება ჩას.

კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი. რუსეთს ამ მხარეში მტერი არ ჰყავს.

ე ლ ჩ ი. საქართველოს ჰყავს.

კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი. საქართველოს მტერი რუსეთის მტერია.

ე ლ ჩ ი. მე მაინც გირჩევ, გიორგი-ხან, ნუ დაარღვევ ძველთა საქართველოს მეფეთა კავშირს ერანის ყაენთან, ნუ დაივიწყებ წყალობებს, რომლითაც სავსე იყო გურჯისტანი ერანისაგან, ნუ მიანდობ სვებედსა გადმთიელთ.

გ ი ო რ გ ი. მერე, რას მპირდება ყოვლისა ამის ნაცვლად დიდებული ყაენი?

ე ლ ჩ ი. აღითქვამს მფარველობას საქართველოს ვალისტანზე, სარწმუნოების შენისას არდევნას, განმტკიცებას შენის უფლებისას ერევნისა, განსჯისა და ყარაბაღის სახანოებზე, ვითარცა იყო მეფისა ირაკლისა დროსა.

გ ი ო რ გ ი. ქართლ-კახეთის სამეფოს საშიშროება ელის დაქცევისა აგრეთვე ოსმალთაგან და უპირატესად ლეკთა მარბიელი ჯარისაგან. ვით დამიცავს ყაენი ამა უბედურებისაგან?

ე ლ ჩ ი. თუკი ისაჭიროებს მეფე ქართლ-კახეთისა, მზადაა მბრძანებელი ერანისა მოგცეს ექვსი ათასი კაცი თავისივე ხარჯითა ლეკთა სავალი გზების შესაკრავად.

გ ი ო რ გ ი. დიდად ვცემ პატივს და ასეთივე დიდითა სიყვარულითა მოვიკითხავ დიდებულსა ყაენსა, მაგრამ მე არ მძალუძს, მეფესა ქართლ-კახეთისას დარღვევა პირობისა მიცემულისა მამისა ჩემისა ირაკლისაგან რუსთდამი.

ე ლ ჩ ი. განარისხებს პასუხი ესრეთი ყაენსა, მეფეო.

გ ი ო რ გ ი. განარისხებსო?.. განა იქმნება დავიწყება იმისა, ვითარ შეგვექმნა ერანი მდევნელად და მტრად ჩვენდა, დაივიწყა სისხლი დაღვრილი ქართველთა ჯარისა ავღანისტანსა. ერანმა აღწყვიტა ერი და გააოხრა სამეფო ჩვენი. ერანმა აღძრა ლეკი ჩვენდა ასაკლებად.

ი რ ა ნ ი ს ე ლ ჩ ი. გაქცეული შენგან მეფის ძე ალექსანდრე იმყოფება თავრიზს, შეჰყრის იგი ჯარსა ყარაბაღისა, განჯისა, შაქირშირვანისა და თავად შაჰის შეწევნითა, შემოვა ქართლსა განჯისა გზით, კახეთს აიღებს ლეკთა ჯარითა დაღესტნიდან, შეჰკრავს გზებს რუსეთისა მხრიდან და გამეფდება თავად, ან გაამეფებს უფროსსა ძმასა თვისსა იულონს.

გ ი ო რ გ ი. მაგ მოქმედებას ინანებს ერანი, არ შერჩება ყაენსა თბილისისა აოხრება და სისხლი მცხოვრებთა დაღვრილი აქა. ერანი წაგვახდენს — რუსეთი გადაუხდის მაგიერსა ერანსა.

კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი. მე გაძლევთ მაგის პირობას, ბატონო ელჩო. ყოველი ვნება ქართლ-კახეთის სამეფოსი, ერთი ათად გადახდება მავნებელს.

ე ლ ჩ ი. ამ პასუხით მისტუმრებ, გიორგი ხან?

გ ი ო რ გ ი. დიდხანს ნატრობდნენ ქართველი მეფეები ასეთ პასუხს ირანის მბრძანებელთათვის, რომ ახლა, როცა შესაძლებლობა მომეცა, არ ვისარგებლო ამით. დიდხანს ელაქუცებოდნენ ჩემი წინაპრები ირანის ხელმწიფეთ, რომ მათ მაგიერ ჯავრი არ ამოვიყარო. შენ ვერასოდეს მიხვდები, ელჩო, ეროვნული სიამაყის იმ მოზღვავებას, ჩემს გულს რომ ავსებს ახლა. როცა შემიძლიან ერთიანად გადმოვანთხიო მრავალი საუკუნის მანძილზე დაგროვილი ბოღმა და ჯავრი, ყელში ჩაჩრილი სიტყვა და წყევლა-კრულვა.

პროექტორების სინათლე მცირე სცენიდან კვლავ ერეკლე მეფისა და მის თანმხლებ პირთაკენ ინაცვლებს.

ლ ი ო ნ ი ძ ე. ასეთი იყო ქართლ-კახეთის საგარეო მდგომარეობა, ხოლო შინ სახელმწიფოში სხვა ვითარება სუფევდა.

სინათლე მცირე სცენას ანათებს. გიორგი სამეფო ტახტზე ზის.

შემოდის დარეჯანი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. აქა მშვიდობა!

გ ი ო რ გ ი. (შეეგებება დარეჯანს) დიდად გაგვახარე, დედოფალო და დედავ, მობრძანებითა თქვენითა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. გამარჯობა შენი, შვილო ჩემო.

გ ი ო რ გ ი. დიდი ხანია არ გვღირსებია ნახვა თქვენი, დედოფალო.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. აყრილი გაქვს გული, შვილო, ჩემზედაც და ძმანი შენნი ხომ დასანახავადაც აღარ გსურს.

გ ი ო რ გ ი. ძმანი ჩემნნი მტრობენ, დედოფალო, ვეცადე ბევრსა და ვერ გავხდი ღირსი მათისა ძმობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. მტრის ავი ენა ტრიალებს ჩვენს შორის, გიორგი, იმ დღესაც მოგართვი ხოხობი და კარის კაცთა გაებედნათ და ეთქვათ, არ მიირთოთ, მოწამლული იქნებაო. აბა, რა სათქმელია და როგორი მოსათმენია? უნდა მოვკლა და ვინა? შვილი ჩემი და მეფე?! შვილი ხარ ჩემი და რა პასუხი უნდა მივსცე ღმერთსა, რომ ესე ვიფიქრო? ან რად ემდური ძმებსა?.. ისინიც ხომ შვილნი არიან საკუთარნი მამისა შენისა!

გ ი ო რ გ ი. დედოფალო, გებრალებოდე მეცა, ვითარცა მეფე და პატრონი ქვეყნისა, რომელსაცა მაქვს ვალი ხალხისა. დაიღუპება სამშობლო ჩვენი, თუ გაუჩნდა ათი პატრონი. ქვეყანას მართავდეს უნდა მეფე ერთი და ვარ იგი მე, ძალითა მონიჭებულითა ღვთისაგან და ერისაგან.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. ვინ დავობს, შვილო, ტახტსა შენსას?.. ძმათაგან არავინ.

გ ი ო რ გ ი. იულონ მეფობს ქართლს, ვახტანგ — არაგვსა, ჰგონებს თავსა თვისა დამოუკიდებლად მეფისაგან, ვითარცა ბატონი და ერისთავი. მირიან გაბატონდა მარტყოფსა და ფარნაოზ სურამსა...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. გიბრძანებია შეყრა ჯარისა და აღება სურამისა ციხისა.

გ ი ო რ გ ი. დიახაც ვბრძანე.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. ამირეჯიბი დავით დამუქრებია ფარნაოზს, მაქვს ბრძანება მეფისო, გამოიყვანე ფარნაოზ და დასთხარე თვალებიო.

გ ი ო რ გ ი. არცა უარვყოფ. ვთქვი — გამოუცხადეთ, გამოვიდეს და იყოს მორჩილი, და თუ არ ჰქმნას, აიღეთ უთუოდ ციხე, გამოიყვანეთ და დასთხარეთ-მეთქი თვალები.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. ძმასა შენსა და შვილსა მამისა შენისას?

გ ი ო რ გ ი. დიახ, დედოფალო... აი, საბუთიც. (მიაწვდის ქაღალდის ფურცელს).

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. (ათვალიერებს ფურცელს) რა არის ეს?

გ ი ო რ გ ი. გუჯრი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. გუჯრი?

გ ი ო რ გ ი. დიახ, დედოფალო.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. არა მესმის რა!

გ ი ო რ გ ი. დახედეთ ბეჭედს, დედოფალო!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. თვალი აღარ მიჭრის, გიორგი, ბეჭდის გარჩევა ჩემისა ხნისა ქალისათვის ძნელია ფრიად.

გ ი ო რ გ ი. (მიუახლოვდება და თითით ანიშნებს ბეჭდის ადგილზე) აქ იწოდება იგი ბეჭდითა სმულითა: მეფე ფარნაოზ, ხოლო თანამეცხედრე მისი და რძალი ჩვენნი ანნა, დედავ ბატონო, აქვე, დახედე წარწერებსა ამას — დედოფალი ანნა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. რა ვქნა, რა ვიღონო? ალექსანდრე გამექცა. მიხარიან ესე? მიმართა თათარსა და აღარას ისმენს ჩემსას. ქვეყანა მოღალატედ რაცხს ღა შენაც, შვილო ჩემო გითქვამს, თითქოს ყიზილბაშთა შემწეობით აპირებდეს სამშობლოზე გამოლაშქრებას.

გ ი ო რ გ ი. ასეა, დედოფალო, და იცით თქვენ ეგე.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. (სასოწარკვეთილი) რომელი შვილი დავწყევლო? რომელი შვილი მოვკლა? შენაც გუვანან შვილები, რომელსა გაიმეტებ მოსაკლავად და შესაძულებლად? (ცრემლს იწმენდ).

გ ი ო რ გ ი. კარგი, დედაო და დედოფალო, ბატონო ჩემო, ნუ მისცემ თავსა ნაღველსა და ნუ დაღვრი ცრემლსა. მშვიდობა უნდა ქვეყანას. შთააგონე ალექსანდრეს დაბრუნდეს სამშობლოში, არარას ვერჩი. დავასახლებ, მივცემ მამულსა და სარჩოს. ნურც სხვანი ძმანი ჩემნი ამიხირდებიან. ვერავის შევუნდობ ღალატსა ქვეყნისასა და ვერცა ავის ქმნასა ვაპატიებ ვინმეს — ვერცა ძმასა და ვერცა შვილსა საკუთარსა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. შვილო ჩემო, ოთხი წლისა დამხვდი, როდესაც შემოვედ სამეფოსა სახლსა, შვილი იყავ ჩემი და მე დედა ვიყავ, არ უნდა მალე დაივიწყო წარსული დრო, და არცა ალერსი ჩემი შენდა ყმაწვილობისა დღეთა.

გ ი ო რ გ ი. მახსოვს, დედოფალო, და დიდადაც გიმადლი ამაგსა და სიყვარულსა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. სხვა რომ არა მქონდეს რა შენთან ამაგი, ეს ხომ არის დაუვიწყარი ჩემგან. ავად შეიქმენ ოთხი წლისა და რა გვარითა მეცადინეობითა მოგვიარე და მოგარჩინე. არც ერთ ჩემ შვილზედ ესოდენი ამაგი არ მიმიძღვის.

გ ი ო რ გ ი. გმადლობთ, დედავ ჩემო და დედოფალო. იმაზედ რაც იყო და იმაზედაც, რაც არის, ოღონდ მოგეხსენება ჩემზე უკეთ, მეფე, პატრონი ქვეყნისა არა ეკუთვნის თავსა საკუთარსა და არცა აქვს უფლება აჰყვეს გრძნობასა და სურვილსა პირადულსა. დამოკიდებულებას ჩემის თქვენდამი, დედოფალო, და ჩემთა ძმათადმი საზღვრავს საჭიროება ქვეყნის კეთილდღეობისა...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. მეფემ ქართლ-კახეთისამ, თანამეცხედრემ ჩემმან, ნეტარხსენებულმა ირაკლიმ უკანასკნელი ნება თავისი გამოხატა ანდერძით, რომლის ძალითაც ტახტი ქართლ-კახეთისა შენს შემდეგ შვილო გიორგი, ერგოს ენდა მომდევნო ძმასა შენსას... წარგლეჯა ამა ტახტისა კანონიერისა მემკვიდრისაგან და ბოძება საკუთარისა შვილისთვის არის განა კეთილდღეობა ქვეყნისა?

გ ი ო რ გ ი. ანდერძი იგი მცდარია და საზიანო ქვეყნისათვის... თქვა ესე და დაბეჭდა კიდეც მამამ ჩემმან ნეტარხსენებულმა ირაკლიმ საკუთარისა ხელწერით. ამა წერილსა, რომლისა ძალით გაუქმებულია ანდერძი იგი, იცნობთ თქვენც, დედოფალო, და იცნობენ ძმანიც ჩემნი. გარნა გადაწყვეტილებას ჩემსას განსაზღვრავს არა წერილი იგი, არამედ საღი აზრი და კეთილდღეობა ქვეყნისა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. სიყვარული შვილისა? ზრუნვა შვილისა კეთილდღეობაზე?

გ ი ო რ გ ი. დედოფალო, ტახტი მეფისა არაა ძროხა მეწველი, რომე წოვონ ჯიქანი სავსე რძითა რიგრიგობით ძმებმა და შთამომავლობამ ყოველმა მეფისამა. ტახტი მეფისა სახნისია მძიმე და მით უფრო მძიმე ხრმალი, რომლითაც შეუსვენებლივ უნდა ხნა, ვითარცა ხარმა ჭაპანმწეველმა ერისა კეთილდღეობის მიწა და იგერიო მტერი მომბღერი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. არცერთი შვილი გამიჩენია ჯაბანი და არცა ლაჩარი, რომე ვერ შეძლონ პატრონობა ქვეყნისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ი ო რ გ ი. იქნებ შეძლონ კიდეც, ოღოხდ წესი მემკვიდრეობისა, ოდითგანვე დადგენილი მამაპაპათაგან, ბრძნულია. ახაკთა სხვაობა მამასა და შვილსა შორის დიდია და შვილმა იცის, დღეს თუ ხვალ გახდება მეფე, ძმათა შორის იგი სხვაობა მცირეა, რიგით რგება გვირგვინისა საეჭვოა, ამად მცდელობა ძალმომრეობით დაჩქარებისა იმა რიგისა მეტია და, აღრეულობაც შიგა, ღვრა ძმათა სისხლისა მეტია და მეტი. ამად ვცდილობ აღვადგინო იგი წესი დადგენილი ოდითგანვე მამაპაპათაგან, ვითარცა ბრძნული და სასარგებლო ერისთვის.

შემოდის მარიამი. თავის დაკვრით, შორიდან მიესალმება დარეჯანს. დარეჯანი მიეგებება, გადაეხვევა და გადაკოცნის.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. მიხარის ჯანმრთელად და საღსალამათოდ ყოფნა შენი, ჩემო საყვარელო რძალო.

მ ა რ ი ა მ ი. გმადლობთ, დედოფალო.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. დედოფალყოფილი ვარ ახლა მე, ჩემო მარიამ, თავად დედოფალო... ვთხოვე შვილსა ჩემსა გიორგის, მეფეს სათაყვანებელს, ნუ იკადრებმეთქი დამცირებასა დედისას, ეკლესიაში მოხსენებისას მეფისა, მომიხსენიონ-მეთქი შემდგომად მე, დედოფლად ყოფილი, ქვრივი და ოხერი, ყველასაგან დავიწყებული... არ ქნა მეფემა, შვილმა ჩემმა.

გ ი ო რ გ ი. მეწაღე და ცოლი მისი, მექუდე და ცოლი მისი ერთნი არიან ქორწინებით, დედოფალო, არ შეიძლება მათი დაშორება... უმეტეს ამისა არ შეიძლება დაშორება მეფისა თანამეცხედრესაგან.

მ ა რ ი ა მ ი. ვგონებ ღენერალი ლაზარევი გვეწვია, მეფევ, დროშკა გაჩერდა სასახლის წინ.

გ ი ო რ გ ი. (იხმობს მსახურს) შემოუძეხით ღენერალს. (დარეჯანს) ნიახურის ბრძოლაში ომარ-ხანის დამარცხების შემდეგ პირველი სტუმრობაა გენერალი ლაზარევისა. თქვენც ბევრს გაიგებთ მისგან, დედოფალო, თქვენი შვილისა და ჩემი ძმის ალექსანდრეს შესახებ.

(შემოდის ლაზარევი. მეფე რამდენიმე ნაბიჯით წაიწევს წინ და მხარზე ხელის მოხვევით ეგებება გენერალს) ფრიად მიხარის თქვენი ნახვა, ძვირფასო ღენერალო, ჩვენს საერთო მტერზე, ომარ-ხანზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. მოგესალმებით, თქვენო უდიდებულესობავ, და თქვენც, დედოფალნო! მოგილოცავთ მოუსვენარი და ქვეყნის შემაწუხებელი მტრის დამარცხებას და განდევნას.

გ ი ო რ გ ი. თქვენ უნდა გიმადლოდეთ ამას, გენერალო.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. გმადლობთ, თქვენო უდიდებულესობავ.

გ ი ო რ გ ი. დედოფალი დარეჯანი გვესტუმრა დღეს და მით უფრო სასიხარულოა თქვენი სტუმრობაც. სიამოვნებით მოვისმენდით დაწვრილებით ამ ბრწყინვალე გამარჯვების ამბავსა.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. (დარეჯანს) ფრიად საწყენია, დედოფალო, რომ თქვენი ვაჟი ალექსანდრე მტრის ბანაკში აღმოჩნდა. ეს ჩვენი გამარჯვება მტერზე, თქვენ შვილზე გამარჯვებასაც ნიშნავს და ღმერთმანი აღარ ვიცი მოგილოცოთ თუ მოგისამძიმროთ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. რა დაემართა ჩემს შვილს?

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. არაფერი, ომარ-ხანთან ერთად მიატოვა ბრძოლის ველი და გაიქცა. ომარ-ხანი მძიმედ დაჭრილი გარბოდა, ის კი ჯანმრთელი და საღსალამათი.

მ ა რ ი ა მ ი. გვიამბეთ, ღენერალო, ბრძოლის შესახებ.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ბრძოლის დაწყების წინ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ომარ-ხანი თავისი ლაშქრით ალაზნის პირას იდგა, შევუთვალე, გამაგებინე-მეთქი რისთვის მოსულხარ, რამ აგაღებინა იარაღი რუსის ჯარის წინააღმდეგ, შემომითვალა — რუსებთან ბრძოლა სულაც არ მინდაო, ქართველი ბატონიშვილი ალექსანდრე მეწვია, შემწეობა მთხოვა. მე მთიელი კაცი ვარ და სტუმარსა და მეგობარს დახმარების ხელი რომ არ გავუწოდო, დამძრახავენო.

გ ი ო რ გ ი. აბა, ალექსანდრეს წამოწყებული ყოფილა მთელი ეს სისხლისღვრა.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ჯერ კიდევ ომარ-ხანთან სტუმრობამდე ალექსანდრემ ბაბა-ხანს გაუგზავნა წარმომადგენელი და დახმარება სთხოვა. თანაც შეპირდა — თბილისს თუ აიღებ, საქართველოს ირანის მორჩილებაში მოვაქცევო.

გ ი ო რ გ ი. ბარაქალა შენს ქართველობას, ბატონიშვილო.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. სიცრუეა ეს!

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. დედოფალო, იქნებ ისიც სიცრუეა, ალექსანდრე ომარ-ხანის ლაშქართან ერთად, ქართველებს რომ ჩეხდა ხმლით ივრის პირას და ჩემ ჯარს რომ კუდით ქვა არ ესროლებინა, იქნებ დღეს აქ, ამ ტახტზე მჯდარიყო.

მ ა რ ი ა მ ი. ღენერალო, ნუთუ მარტო თქვენი ჯარი გაისაჯა იმ ბრძოლაში და კახელი ვაჟკაცები გულხელდაკრეფილები ისხდნენ?

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. კახელ ვაჟკაცებს გმირობას ვინ დაუწუნებს, მაგრამ ხელკეტებითა და კომბლით შეიარაღებული ჯარი რისი მაქნისია?

მ ა რ ი ა მ ი. ბატონიშვილები — ბაგრატი და იესანი?

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. თავგამოდებით იბრძოდნენ.

მ ა რ ი ა მ ი. მითხრეს თქვენთან ერთად გენერალმაიორმა გულიაკოვმაც ისახელა თავიო.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. მის უდიდებულესობას, ჩემს იმპერატორს ეკუთვნის ჩემი სიცოცხლე.

მ ა რ ი ა მ ი. შევხატრი თქვენს იმპერატორს, ღენერალო.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ბრძოლა ჭადრაკს გავს, დედოფალო, იბრძვიან მოჭადრაკენი, ხოლო სხვანი მოჭადრაკეთა ნებით ინაცვლებენ ალაგს დაფაზე.

მ ა რ ი ა მ ი. რას უპირებთ ყაზარმიდან გაქცეულ სალდათებს, წალკასთან რომ დააკავა ჩვენმა ყარაულმა?

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ერთს ყულფი არ ასცდება, ორს — როზგი.

გ ი ო რ გ ი. სამივეს დიდად უმარჯვნიათ ნიახურის ბრძოლაში, იმას კი ჩამოხრჩობას რომ ჰპირდებიან, პირადად ჩამოუგდია ცხენიდან ომარ-ხანის სარდარი.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ვერავითარი გმირობა ვერ გამოისყიდის იმპერატორის ღალატს.

მ ა რ ი ა მ ი. ასე მგონია, ღენერალო, დღენიადაგ იმასღა ცდილობთ, ვის როგორ მოუკლათ გული.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ჩემი სახელი შიშის ზარს უნდა სცემდეს ყველას, ასე მესმის იმპერატორის სამსახური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა რ ი ა მ ი. აღა-მაჰმად-ხანს საჭურისობა აბოროტებდა, თქვენ?

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ცდებით, დედოფალო, ბოროტება როდი მამოქმედებს.

მ ა რ ი ა მ ი. კაცთმოყვარეობა?

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. სიკვდილით როცა ვსჯი ერთს, აქით მოავალს ვუნარჩუნებ სიცოცხლეს. სალდათს საჯაროდ იმიტომ ვროზგავ, სხვა აღარ გახდეს გასაროზგი.

შემოდის თეოდორე ტამბოველი.

თ ე ო დ ო რ ე. თქვენო უდიდებულესობავ, გეახლათ დავით ამირეჯიბი, ფრიად სასწრაფო საქმეზე სურს შეგხვდეთ პირისპირ.

გ ი ო რ გ ი. მოიცადოს სამდივნოში, ახლავ გამოვალ.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. (ინტერესით ათვალიერებს თეოდორს) როგორი გამოდგა ეს ჩემი ორდინარეცი?

გ ი ო რ გ ი. ფრიად საზრიანი, მოხერხებული და შემსრულებელი ყმაწვილია.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ჩემთან თავისნათქვამა და ზარმაცი იყო, რამდენჯერმე კიდევაც გავროზგინე.

გ ი ო რ გ ი. ღმერთს რაღას ეუბნებით, ღენერალო, ასეთი ცქვიტი და ფხიზელი ვაუკაცის გაროზგვა ცოდვაა, ღვთის მადლმა.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ხოლოპის კვალობაზე ერთობ ამაყი გახლდათ.

გ ი ო რ გ ი. კაცი ამაყი უნდა იყოს, ღვთისგლახა არც თავისთავისთვის ვარგა და არც ქვეყნისათვის. მაპატიეთ, ღენერალო, და თქვენც დედავ და დედოფალო, მცირე ხნით დაგტოვებთ.

(თეოდორე და გიორგი გადიან)

მ ა რ ი ა მ ი. მეც უნდა დაგტოვოთ მცირე ხნით, ღენერალი, იმედია არ მოიწყენთ.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. პირიქით, დედოფალო, თქვენ ისეთი მწარე ენა გაქვთ...

მ ა რ ი ა მ ი. მე ენა მაქვს მწარე, ღენერალო, თქვენ სული, აკი ამიტომაც ვერ მოვრიგებულვართ. (გადის).

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. მადლობა ღმერთს, ძლივს მომეცა საშუალება. ბატონო ღენერალო, თქვენთან პირისპირ საუბრისა.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. თქვენ არ სურვილობდით ამას, დედოფალო.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. ჩემი და თქვენი დაუძინებელი მტრების ენა ტრიალებდა ჩვენ შორის, ღენერალო.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. საერთო მტრებიც გვყავს?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. განა გიორგი, მეფე ქართლ-კახეთისა, დედოფალი მარიამი და შვილნი მათნი მტრები არ არიან?

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ვისი, დედოფალო, თქვენი თუ ჩემი?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. თქვენიც და ჩემიც. ის, ვინც არ ასრულებს ანდერძს მშობლისას, უგულვებელყოფს განსვენებული მამის სურვილს, არ შეიძლება სანდო იყოს სხვა საქმეებშიც და არც იმპერატორისათვისაა სანდო.

პაუზა

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. გისმენთ, დედოფალო.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. მეფე გიორგიმ, ჩემმა გერმა ქართლ-კახეთის ტახტზე ასვლისთანავე მოგვისპო მეცა და ჩემს შვილებსაც კუთვნილი ჩვენი უფლებები.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ამის თაობაზე თქვენ უკვე მისწერეთ იმპერატორს.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. დიახ, მივწერე. ჩვენი მდგომარეობა სავალალოა. სიღარიბეში ამოგვხდება სული მეცა და ჩემს შვილებსაცა.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ეგ მთლად მასე არაა, დედოფალო.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. თქვენ უნდა გჯეროდეთ, ღენერალო, რომ ქვეყანას ჩემი შვილები უფრო მოუვლიან და იმპერატორისაც მეტად ერთგულნი იქნებიან, ვიდრე გიორგია, ანდა მისი ფუქსავატი შვილი დავითი იქნება.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. არც ისეთი გულუბრყვილო გახლავართ, დედოფალო, როგორიც თქვენ გგონიათ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. მაშინ ერთს გეტყვით და კარგად დაიხსომეთ, ივან პეტროვიჩ, არც მე და არც ჩემი შვილები, და თუ გნებავთ არც ქართლ-კახეთის თავადობა არ შეურიგდება ქარაფშუტა დავითის გამეფებას.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. მეფე გიორგი ჯერ ცოცხალია, დედოფალო.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. გიორგის, ჩემს გერს, დიდი სიცოცხლე არ უწერია.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. სირცხვილია, დედოფალო, ცოცხალ მეფეზე ამის თქმა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. ქართლ-კახეთის მოსახლეობა არ დაუშვებს დავითის გამეფებას.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. იმპერატორმა პავლემ მეფისწული დავითი სცნო ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრედ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. დავითის მეფობას, ღენერალო, გვირჩევნია სულაც არ გვყავდეს მეფე. დეე, იმპერატორი გვმართავდეს, ვითარცა მართავს იგი რუსეთის პროვინციებს.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ეგ უშუალოდ იმპერატორს სთხოვეთ, დედოფალო. ახლა კი ნება მომეცით, მეც დაგტოვოთ, საქმე მიცდის.

ლაზარევი გადის. გადის დარეჯანიც. მცირე სცენაზე სინათლე ქრება. პროექტორები ახლა ავანსცენას ანათებენ, სადაც ერეკლე მეფე და სხვანი დგანან.

ლ ი ო ნ ი ძ ე. შინაური შუღლი ღუპავდა მუდამ ჩვენ ქვეყანას. იმდენი პრეტენდენტი წაეპოტინა ქართლ-კახეთის გვირგვინს, რომ ყველამ დაკარგა ის და ბოლოს რუსეთის იმპერატორს დარჩა.

ე რ ე კ ლ ე. მე მაშინებს ქვეყნის ბედი... ამაყი სული ზის ჩემ ხალხში... მონობას იგი ვერ შეეგუება.

ლ ი ო ნ ი ძ ე. არც შეეგუება.. დამოუკიდებლობის დაკარგვისთანავე დაიწყო ხალხმა ბრძოლა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს ჩაგვრა ჯერ დიდგვაროვანთა წარმომადგენლებმა იგრძნეს, მერე ხალხმაც აიწყვიტა თავი.

რახან სიტყვა ჩამოვარდა, იქნებ თანმიმდევრობისათვის გადაგვეხვია და სულ რამდენიმე წლით გაგვესწრო მოვლენებისათვის... ეს 1803 წელს მოხდა. ორიოდ წლის შემდეგ გიორგი მეფის გარდაცვალებიდან და ქართლ-კახეთის ტახტის გაუქმებიდან.

მცირე სცენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ დედოფლის ბინა. სცენაზე არიან: მარიამი, გენერალი, ლაზარევი, ნიკოლოზ ხიმშიაშვილი — ყულუხჩი მარიამ დედოფლისა და თეოდორე ტამბოველი.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. მადამ, გთხოვთ დაიჩქარეთ აბარგება, ბადრაგი გიცდით!

მ ა რ ი ა მ ი. ღენერალო, მე მადამი კი არა, ქართლ-კახეთის დედოფალი ვარ, მირონცხებული მეფის, ვიორგის თანამეცხედრე.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ქალბატონო, სასაცილო ხდებით, როცა კვლავ დედოფლად წარმოიდგენთ თავს.

მ ა რ ი ა მ ი. დედოფალი სიკვდილის შემდეგაც დედოფლად რჩება.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. აღარაა ქართლ-კახეთის სამეფო და არცა მეფე ან დედოფალი ქართლ-კახეთისა. დაუჩქარეთ, ბადრაგს მოცდა არ შეუძლიან.

მ ა რ ი ა მ ი. ბავშვები გაიღვიძებენ და გამოგყვებით.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ბავშვები უნდა გააღვიძოთ.

მ ა რ ი ა მ ი. უკანასკნელ დღეს სამშობლოში ბავშვებს ვერ გავუმწარებ.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. მათ იქნებ შუადღემდე არ გაღვიძონ, გზა კი შორი გაქვთ გასავლელი.

მ ა რ ი ა მ ი. ჯერ მხოლოდ ახლა ინათლა.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. მისი ბრწყინვალების, თავად ციციანოვის ბრძანებით დილითვე უნდა გაგაცილოთ ქალაქის ფარგლებს

მ ა რ ი ა მ ი. განა თავადმა გიბრძანათ, მძინარე ბავშვები ლოგინიდან წამოყარეთო?

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ყოველგვარი შეყოვნების გარეშე უნდა დაგატოვებინოთ ქალაქი.

მ ა რ ი ა მ ი. მეფის ნაცვლისა და მითუმეტეს იმპერატორის არც მტერი ვარ და არც მოქიშპე.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ქართლ-კახეთის ყოფილი მეფის კარის წარმომადგენელი ხართ და შექმნილ ვითარებაში საფრთხეს წარმოადგენთ იმპერიისათვის.

მ ა რ ი ა მ ი. ღმერთო ჩემო!.. რა იმპერიაა ისეთი, ერთი საცოდავი ქვრივი ქალის შიშით რომ ძრწის.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ასეთია ბრძანება იმპერატორის.

მ ა რ ი ა მ ი. რამ გააბოროტა ეს კაცი!

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ვიზე ბრძანებთ, ქალბატონო?

მ ა რ ი ა მ ი. თავად ციციანოვზე მოგახსენებთ, ღენერალო.

ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლ ი. დედოფალო, გადაგვარებული ქართველი მუდამ ყამს იყო ბოროტი უარეს ყოვლისა ყიზილბაშისა და ურჯულოსი. ესრე არს ციციშვილიც. გარნა ოსმალო ვინმე ურჯულო სჯობს სოლომონსა ჯაყელსა ანუ სხუებსა გათურქებულთა ქართველთა ჩვენისა ხალხის წამებაში?

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. მოსპეთ ყეფა ძაღლური, რომლისაც არა გამეგება რა.

მ ა რ ი ა მ ი. თავად ციციანოვზე ვმსჯელობდით, ღენერალო, ის გადაგვარებული ქართველია და ამიტომაა უკილაგო და ბოროტი, თქვენ, ნამდვილ რუსს არ შეგფერით მისი აყოლა.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ქართველი და რუსი აქ მოსატანი არაა. იმპერატორის მსახურნი ვართ მეცა და თავადი ციციანოვიც... მისი უდიდებულესობის იმპერატორის ნების აღმსრულებელნი.

მ ა რ ი ა მ ი. მხოლოდ თოჯინაა სხვისი ნების აღმსრულებელი.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. (მოთმინებიდან გამოსული და შეურაცხყოფილი) შეწყვიტეთ ლაყბობა და გააღვიძეთ თქვენი ღორის ტილები. დროა აიბარგოთ.

მ ა რ ი ა მ ი. (ძლივს იკავებს თავს) ნუ გავიწყდებათ ღენერალო, რომ ჩემი შვილები ამ ქვეყნის მეფისწულები არიან.

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. თქვენ დაწყევლილ ქვეყანაში რამდენი სოფელიცაა, იმდენი მეფეა... კიდევ უფრო მეტი დედოფალი და ძაღლთოდენი მეფისწულები.

მ ა რ ი ა მ ი. თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ ჩემს ქვეყანას, ღენერალო!

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. საძაღლეთია ეს და არა ქვეყანა.

მ ა რ ი ა მ ი. უნდა იცოდე, რეგვენო, რომ ქართველები თავის ქვეყნის გინებას არავის აპატიებენ!

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ყველა ქართველი მხდალი და ტრაბახაა.

პროექტორები ავანსცენას ანათებენ.

ე რ ე კ ლ ე. ღმერთო ჩემო, საცოდავი რძალი ჩემი!

ლ ი ო ნ ი ძ ე. მეფევ, მე მოგახსენე დროზე — სხვის მფლობელობაში შესული ქვეყანა მონაა პატრონისა... ასე იყო და ასე იქნება.

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. იყო, არის და იქნება ადამიანთა თავნებობა ყველგან განუყოფლად და იქნება აღშფოთებაც ჩაგრულთა მჩაგვრელთა მიმართ. მონობას ვერ ითმენს ქართველი ისევე, როგორც ვერ ითმენს მას რუსი. ამიტომაც აქვთ მათ ერთი გზა.

ე რ ე კ ლ ე. მე მფარველობითი ტრაქტატი დავდე რუსეთის იმპერატორთან.

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. შენს მიერ დადებული ტრაქტატი, მეფევ, ნათელი სხივია საქართველოს ისტორიაში, გენერალთა და ჩინოვნიკთა უხეშობამ ჩრდილი არ უნდა მიაყენოს მას. ბოროტებას ყველგან ებრძვიან — ჩვენშიც და რუსეთშიც. ამის მოწმე ვარ მე. მაგრამ ჩვენ დიდად გავუსწარით მოვლენათა მსვლელობას. დავბრუნდეთ უკან. შენ მფარველობითი ტრაქტატი დადე რუსეთთან, მემკვიდრემ შენმა გიორგიმ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიას შეუერ-

თა და საბოლოოდ დაუკავშირა საქართველოს ბედი რუსეთის ბედს.

ერეკლე. ღმერთო, შენ უშველე ჩემს ქვეყანას.

ჭავჭავაძე. დღეის ამას იქით შენი ქვეყნის მშველელი და პატრონი რუსეთია, მეფევ.

კვლავ მცირე სცენა. მომაკვდავი გიორგი საოცელზეა მისვენებული. შემოდის მარიამი.

მარიამი. როგორ ბრძანდებით, მეფევ ბატონო?

გიორგი. ბედისა ჩივილი უმადურობაა, დედოფალო, სანამ კაცსა სული გიდგას პირში.

მარიამი. მთელი ერი ევედრება ღმერთსა თქვენსა კარგად ყოფნას. კათალიკოს-პატრიარქი ანტონ და ყველაი ქართლ-კახეთის მღვდელთმთავარნი ილოცვიან თქვენისა სნეულებისაგან განკურნებისათვის.

გიორგი. ღმერთმა აკურთხოს წმინდაი ანტონი და ერი ჩემი.

მარიამი. მეცა, მეფეო. მხლებლებითა ჩემითა ფეხშიშველი ვიდოდი ანჩისხატისა ეკლესიასა და ხატის წინაშე დაჩოქვით ვევედრებოდი ღმერთსა, განაგრძონ ღღენი შენი, მეფეო, დროთა ამათ მწარეთა ამბოხთა დასამშვიდებლად.

გიორგი. რასა იქმნიან შვილნი ჩემნი?

მარიამი. ანჩისხატის ეკლესიასა მახლდნენ—ილია, ოქროპირ, ირაკლი, და თამარ, ილოცვიდნენ და ევედრებოდნენ მაცხოვარს.

გიორგი. დავითი?

მარიამი. დადის შორით. არ ვუყვარვარ მე დავითს და არცა შვილნი ჩემნი. მიწოდებს დედინაცვალსა და მიქადის ავსა. მაპატიე, მეფეო, მე სიტყვა პირუთვნელი.

გიორგი. არა შესწევს ძალი დავითს მართოს ქვეყანა.

მარიამი. ილტვიან ტახტისაკენ დარეჯან—დედინაცვალი შენი, ძმანი შენნი იულონ, ფარნაოზ, ალექსანდრ...

გიორგი. (რეკს ზარს. შემოდის თეოდორე) არის ცნობა რამ პეტერბურღიდამ?

თეოდორე. არაფერი, თქვენო უდიდებულესობავ.

გიორგი. (აღელვებული) რას იქმს გარსევან? რად არაა პასუხი იმპერატორსა პავლესი?... ღმერთო, შენ გვიშველე.

თეოდორე გადის.

მარიამი. დამშვიდდი, ბატონო, აგერ მოგართვი მინისა ჭურჭლითა წყალი ნაბანი ხატისა... განბანა ხატი იგი თავად იუსტინე მთავარეპისკოპოსმან...

გიორგი. მადლობ, დედოფალო!

მარიამი მიიღე, მეფეო, წმინდა წყალი და იგრძნობ შვებასა.

გიორგი. (მოსვამს წყალს. დედოფალი ხელის გულზე დაისხამს და შეასხურებს). ხორცი და სისხლი მაცხოვრისა შემიყვანს მე სასუფეველსა. ქვეყნიერსა მე ველარასრა ვიტყვი. თვით მაცხოვარი აზრუნებს სამეფოსათვის, არღა ჩემისა. რუსთა ხელმწიფესა ვუტოვებ პატრონად ქვეყანასა ჩემსას. იგი განაგებს ყოველსავე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამი. შენი სიცოცხლე, ჩვენი სიცოცხლეა, ბატონო. კოდავს გულსა სიტყვა შენი... (ქვითინებს).

გიორგი. დედოფალო. ნუ სტირ ჩემთვის. იეხო ჩემი ტკბილი დაგატკბობს შენ და შვილთა ჩემთა.

მარიამი. ბატონო, რას უბრძანებთ შვილებსა? ვის აბარებთ, თუ გვეწვია უბედურება რაიმე? დავით უნდა იყოს ამათი პატრონი? ანუ თქვენი ძმები? ანუ დედოფალი?

გიორგი. ბატონო დედოფალო, მე აუჩენ მათ პატრონსა ღიდსა და ძლიერსა... (მარიამი გადის. გიორგი ზეცას აღაპყრობს ხელებს) ღმერთო დიდებულო, ღმერთო ყოვლისა შემძლევ, შემწყალებელო ყოვლისა, რა შევცოდე წინარე შენისა უბედურმა და უბადრუკმა მონამა შენმა, რისთვის მომეც სატანჯველი და საჭოჭმანო უკიდეგანო, რომელ მიმღვრევს გონებასა და ახელებს სულსა ჩემსა, დასნეულებულსა უკურნებელის სენითა!

შემოდის თეოდორე.

თეოდორე. გენერალი ლაზარევი გეახლათ, თქვენო უდიდებულესობავ, აუდენციას გთხოვთ.

გიორგი. მობრძანდეს.

(თეოდორე გადის. მცირე ხნის შემდეგ შემოდის ლაზარევი. მიესალმება მეფეს)

ლაზარევი. როგორ ბრძანდებით, თქვენო უდიდებულესობავ?

გიორგი. დაბრძანდი, გენერალო!

ლაზარევი. უნდა მომჯობინდეთ, მეფევ, მტერს ახარებს თქვენი სნეულება.

გიორგი. ღმერთის ნებაა ყოველი. ვიცი, რომ აღსდგა მტერი, საკუთარი შვილი ნატრობს მამის სიკვდილს, მტერი რას ნატრულობს, ადვილი მისახვედრია.

ლაზარევი. ბატონიშვილ ვახტანგს, თქვენს გარეშე ძმას მუქარით უთქვამს გრაფ მუსინ-პუშკინისათვის, იმპერატორის კარზე მოსახსენებლად, რომ იგი და ძმანი მისნი არ დაუშვებენ ბატონიშვილი დავითის ასვლას ქართლ-კახეთის ტახტზე. ავამხედრებთ ხალხს და მოვსპობთ დავითსაც და მის მომხრეთაცო.

გიორგი. ვახტანგს, ფარნაოზს და იულონს ალექსანდრეს იმედი აქვთ, რომელიც ყიზილბაშთა ლაშქრით აპირებს შემოსევას და ქართველია ამოჟლეტას.

ლაზარევი. დარეჯან დედოფალი თავის მხრივ უგზავნის წერილებს თავადობას: ათასგვარ შელავათს ჰპირდება ყველას, ვინც მხარს დაუჭერს ეს ძმათა შორის სისხლის ღვრაში.

გიორგი. ღმერთმა დაგვიფაროს სისხლისღვრისაგან, ღენერალო.

ლაზარევი. სისხლისღვრა უკვე დაიწყო, დავითის მომხრე ხევსურები, ვახტანგისეულ არაგველებს დასხმიან თავს, როცა ისინი ნაყიდი ღვინით კახეთიდან ბრუნდებოდნენ, წაურთმევიათ ღვინო და

ცხენები... დაუჭრიათ და დაუხოცავთ კიდეც საცოდავი არაგველები.

გ ი ო რ გ ი. (ხელებს ლოცვად აღაპყრობს) ღმერთო, გვაპატიე უგნურება და შეცოდებანი ჩვენნი.. ღენერალო, რა ისმის სანკტ-პეტერბურღიდან?

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. რის თაობაზე, თქვენო უდიდებულესობავ?

გ ი ო რ გ ი. დესპანნი ჩვენნი არ ბრუნდებიან იმპერატორ პავლეს პასუხით?

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. ჯერჯერობით არა ისმის რა, მეფევ.

გ ი ო რ გ ი. გმადლობთ, ღენერალო, ვიზიტისათვის, ნუ დაგვივიწყებთ..

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. მალე გამოჯანმრთელებას გისურვებთ, თქვენო უდიდებულესობავ.

ლაზარევი გადის. შემოდის თეოდორე.

თ ე ო დ ო რ ე. სარდალი იოანე ორბელიანი გეახლათ, თქვენო უდიდებულესობავ!

გ ი ო რ გ ი. მოვიდეს.

შემოდის იოანე ორბელიანი. მიესალმება მეფეს. გიორგი უკმეხად შესცქერის.

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. განკურნებას გისურვებ, დიდო მეფეო.

გ ი ო რ გ ი. ამად მოხველ?

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. მეფევ ბატონო, სნეულება თქვენი ჭირსა გვგვრის ჩვენ, თქვენსა მორჩილსა ქვეშევრდომთ...

გ ი ო რ გ ი. თქვი სათქმელი!

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ძე თქვენი და მემკვიდრე ბატონიშვილი დავითი გვექადის მეცა და მუხრანისა ბატონსა კონსტანტინეს შეურაცხებით განდევნასა ჩვენსა ღირსებისაგან... იგივ დავით ექადის ცუდად თანამეცხედრესა თქვენსა დედოფალსა მარიამს... იგიც მწუხარე ვერას გიბედავთ და დნება ვითარცა სანთელი.

გ ი ო რ გ ი. ჯერად მე ვარ მეფე ქვეყნისა და პატრონი...

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ღვთის ნებასა ვერ წარუვალთ, მეფეო, დავით მემკვიდრეა თქვენი.

გ ი ო რ გ ი. არა მითქვამს რა მე მემკვიდრისა გამო.. .მე ვარ მეფე და პატრონი ქვეყნისა.

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. მეფევ, შევიყარენით ჩვენ, თავადნი და აზნაურნი და გახსენებ აზრსა დიდებულთა დამშვიდებისათვის ქვეყნისა და დასაცავად ჩვენისა საკუთრივ პატივისა, დედოფლისა მარიამისა, თანამეცხედრისა თქვენისა და შვილთა თქვენთა ურმათა და ჩვილთა — გვიჯობს დაშთეს რუსეთისა მეფობა — ნუღარ გვინდა მეფეთ დავით...

გ ი ო რ გ ი (გამწარებული და მობეზრებული) იოანე ორბელიანო, ჯერედ ცოცხალ ვარ მე, გიორგი, მეფე ქართლ-კახეთისა.

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. მაპატიე, მეფევ, კადნიერება. შენი სიცოცხლე სიცოცხლეა ჩვენი.

გ ი ო რ გ ი. სარდალო, ახალციხს შეფარებული ლეკთა მარბიელი რაზმები წინაკვირას თარაფ-თარაფად გადმოსულან მტკვარსა კასპისა სოფლის ჭირდაპირ, დაურბევიათ სოფლები, უალაფიათ მრავლითა ტყვითა და საქონლითა და გადასულან დღესასანს საგურამოსა მხრიდან... ორბელიანო, სადაა ღირსება სარდლისა, სადაა ჯარი ჩვენი, რომე ასე დაუსჯელად თარეშობს ლეკი ჩვენსა მიწაზე?

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ვერ დავეწიეთ, მეფეო.

გ ი ო რ გ ი. არც ცდილხართ... არცა ჯარი შეგიკრებიათ.

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ვერ მოვასწარით, მეფევ.. რუსნი სალდათნი დაეღევნენ და დააყრევინეს ზოგი ტყვე.

გ ი ო რ გ ი. შენაც, სარდალო, მემკვიდრეც ჩემი დავით, ძმანიც ჩემნი და ყველა ერთად მეტს ვფიქრობთ ღირსებაზე თქვენსაზე, რას გამორჩეთ ქვეყანას, იმასა წუხართ. ოღონდ ქვეყნისათვის არაფერს ფიქრობთ.

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. მეფევ!

გ ი ო რ გ ი. გამეცა, წადი. (რეკავს ზარს. შემოდის თეოდორე). უხმე ლიონიძეს სოლომონს! (თეოდორე და ორბელიანი გადიან. შემოდის სოლომონი). რაი შეურილობა იქმნა სარდლისა იოანე ორბელიანისა მეთაურობით?

ლ ი ო ნ ი ძ ე. ჯვარცმულისა მადლმა, მეფევ, იღუპება ქვეყანა უშველებლად. იქით სარდლები იწევენ, აქეთ მეფის ძენი, მელიქი და ვაჭრები გველურად იქცევიან... არ უნდათ მეფე დავით. მემკვიდრისა მტრობითა მტრად შეექმნენ ქვეყანას.

გ ი ო რ გ ი. დავითი ურჩია, თვითნება და მგონებელი ბრძნად თავისა თავისა უმეტეს სხვათა... გულაღელვებული და საქმისა გაუჩხრეკელი.. ესრეთი მეფე უბედურებაა ქვეყნისა.

ლ ი ო ნ ი ძ ე. ვურჩიე მიეწვია თავისთან სარდალი, მუხრანისა ბატონი და სხვანი პირნი დიდებულნი დასამშვიდებლად ქვეყნისა. არა ინება.

გ ი ო რ გ ი. არა ინება?

ლ ი ო ნ ი ძ ე. იტყოდა დავით, ჩემი სახლი დახშულია სარდალისათვის და მისთა მეგობართათვის, ვითარცა ქვეყნისა მტერთათვისო...

გ ი ო რ გ ი. ურჩია და თვითნება ძე ჩემი.

ლ ი ო ნ ი ძ ე. მით მართებს ისმინოს სიტყვა შენი, მეფეო, ბრძნული.

გ ი ო რ გ ი. არ მაქვს მე სიტყვა სათქმელი, არცა ბრძნული, არცა უგუნური.

ლ ი ო ნ ი ძ ე. სანამ შენ სნეულ ხარ, მეფევ, უპატრონოა ქვეყანა.. მემკვიდრეს მართებს იღონოს რამ აღრეულობისა დასაცხრომლად, ჰქმნას რაიცა არის საქმელი, დასცეს ზარი და მეხი შიშისა მუხრანისა ბატონსა კონსტანტინეს, სარდალსა ორბელიანსა და მასთან თანამდგომთა.

გ ი ო რ გ ი. (მოთმინებიდან გამოსული) კმარა, ლიონიძევ!

ლ ი ო ნ ი ძ ე. მეფევ, იულონ, ვახტანგ და ფარნაოზ აორგულებენ ქართლსა და არაგვსა. ამათ იმედი ალექსანდრეზე აქვთ, რომელიცა სწერს სპარსეთით დედოფალსა დარეჯანს, ჰპირდება ლეკთა ჯარსა და სპარსთა შემოსვლასა მალე საქართველოდ... სურთ მათა გამეფება იულონისა და დათხოვნა რუსთა ჯარისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ი ო რ გ ი. (აღელვებული, მკაცრად) კმარა-მეთქი, ლიონიძევ, ავად ვარ. დამტოვე მარტო!

ლ ი ო ნ ი ძ ე. ძმანი თქვენი მოუწოდებენ ერსა და ბერსა აღიარონ მეფედ იულონ...

გ ი ო რ გ ი. (სასოწარკვეთილი) დამტოვე მარტო, მომასვენე!.. ვინ ხარ, მტერი თუ მოყვარე.... გქონდეთ შეცოდება მომაკვდავისა.

შეცბუნებული ლიონიძე გადის. შემოვარდება დარეჯანი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. რახან, მეფევ, შენ არ გსურს იულონი აღიარო მემკვიდრედ, გეტყვი მე, თანამეცხედრე სულმნათისა მეფისა ირაკლისა, დედაი შენი, გიორგი, დედოფალი დარეჯან — არ იქნება მეფედ არცა დავით გერი ჩემი... დაიღვრება სისხლი, გიორგი, ძმათა სისხლი.

გ ი ო რ გ ი (სასოწარკვეთილი) ბატონო დედოფალო...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. თუ გსურს შენ, მეფევ, მშვიდობა ქვეყნისათვის, არ დაღვრა სისხლისა ძმათა, ვიქნები მეფედ მე. დარეჯანი, ვითარცა იყო ხელმწიფედ დიდისა რუსეთისა იმპერატრიცა ეკატერინე...

ამის გაგონებაზე გიორგი გონდაკარგულივით მიესვენება ბალიშზე, დახუჭავს თვალებს. დარეჯანი ერთხანს შეშინებული შესცქერის. მერე მიხვდება, რომ მეფე ჯერ კიდევ ცოცხალია და ფეხაკრეფით დასტოვებს დარბაზს.

სარეცელზე მისვენებულ გონებადაკარგულ მეფის გარშემო ნახევარ წრედ იკვრება დიდებულთა ხორო. აქ არიან: მარიამ დედოფალი, გენერალი ლაზარევი, დარეჯან დედოფალი, სარდალი იოანე ორბელიანი, ჭავჭავაძე, სოლომონ ლიონიძე. მუსიკის ნაღვლიან ჰანგზე ისინი სათითაოდ თავის სათქმელს ამბობენ.

მ ა რ ი ა მ ი. ბატონო, რას უპრძანებთ შვილებსა ამათ? ვის აბარებთ, თუ გვეწვია უბედურება რაიმე? დავით უნდა იყოს ამათი პატრონი? ანუ თქვენი ძმები? ანუ დედოფალი დარეჯანი? (ქვითინებს).

ლ ა ზ ა რ ე ვ ი. მეფის ძე ალექსანდრე გადმოსულა საზღვარზე და დავით გარეჯის მონასტერში იმალება. აქედან უთვლის იულონს, ვახტანგსა და ფარნაოზს შეჰყარონ ჯარი თბილისის ასაღებად, თავად ლეკთა და სპარსელთა ჯარით ჰპირდება დახმარებას. დაიწყო არეულობა ქართლში, ასეთივე არეულობაა კახეთშიც, ბატონიშვილი ბაგრატი ჯარის მიშველებას ითხოვს.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი. თუ გსურს შენ, მეფევ, მშვიდობა ქვეყნისათვის, არ დაღვრა სისხლისა ძმათა, ვიქნები მეფედ მე, დარეჯანი, ვითარცა იყო ხელმწიფედ დიდსა რუსეთსა იმპერატრიცა ეკატერინე...

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. მეფევ, შევიყარენით ჩვენ, თავადნი და აზნაურნი, ვსჯეთ და გახსენებ აზრსა დიდებულთა — დამშვიდებისათვის ქვეყნისა და დასაცავად ჩვენისა საკუთრივ პატივისა, დედოფლისა მარიამისა, თანამეცხადრისა თქვენისა და შვილთა თქვენთა ყრმათა და ჩვილთა — გვიჯობს დაშთეს რუსეთის მეფობა — ნუღარ გვინდა მეფედ დავით...

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. რუსეთი დიდი ქვეყანაა, გიორგი, მომავალიც დიდი აქვს. ასე იოლად მას ვერავინ ვერ ჩოქებს და ვერც დაიბრიყვებს. გადაწყვეტილია შენი სწორია. რუსეთის ბედის გამზიარებელი ჩვენი ქვეყანა ბედნიერი იქნება უფრო, ვიდრე ცალად დარჩენილი ან შეფარებული ყიზილბაშთა თუ ოსმანთა ხმალქვეშ... წესრიგი, როგორიცა არ უნდა მკაცრი იყოს, მუდამ სჯობს აღრეულობას, უკანონობასა და უპატრონობას. რუსეთის ხალხი თავად ეძებს ბედნიერებას, შენი ხალხიც მასთან ერთად ეზიარება მას.

ლ ი ო ნ ი ძ ე. მეფევ, სხვათა მფლობელობასა ქვეშე შესული არის მონა დაცინებული, მასხრად აგდებული, ვითარცა დამკარგველი თვითმყოფობისა, კარგავს სულსა თავისსა საკუთარსა ბალსა და ღირსებასა...

ლიონიძეს შემდეგ ყველა ერთდროულად თავიდან იმეორებს თავის სათქმელს. დგას შემზარავი გუგუნი. მას ერთვის ქოროს ხმა. გიორგი შეშფოთებული იღვიძებს. მოჩვენება ქრება. იგი მარტოა ოთახში.

გ ი ო რ გ ი. ღმერთო, მომიტევე, შემინდვნენ მე შეცოდებანი ჩემნი, რაოდენიც გცოდე შენ, საქმით, ანუ სიტყვით, ანუ გონებით, ნებით, ანუ უნებლიეთ, ცნობით ანუ უმეცრებით, ყოველივე შემინდევ. ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან. ღმერთო, ნუ მაქცევ სატანად ერისა ჩემისა თვალში... ასწავლე გზა სწორი და მართალი.

ნუთუ მე, გიორგი, პირმშო დიდისა ირაკლისა სულმნათისა შევიქნე უნდა უკანასკნელი მეფე ქვეყნისა ჩემისა? ნუთუ ტახტი და გვირგვინი ბაგრატოვანთა, რომელიც ვერ მოსპეს ვერცა არაბთა, ვერცა მონღოლთა, ვერცა ოსმანთა და ყიზილბაშთა, მე, მეფემ ქართლ-კახეთისამ, რჩეულმან ღმერთისაგანაც და ხალხისაგანაც, ჩემისავე ხელით მოვსპო უნდა სრულად და საუკუნოდ ვქმნა იგი, რაიც ვერა ქმნეს ვერცა ხალიფებმა, ვერცა სულთნებმა და ვერცა შახყაენებმა... ღმერთო მაღალო, შემძლევ ყოვლისა, მასწავლე მე უღირსსა შვილსა შენსა გზაი სწორი და ნართალი. სარგო ქვეყნისა და ერისა..

ფარდა

პიესაში გამოყენებულია პლატონ იოსელიანის ისტორიული მასალა წიგნიდან „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“.